# ბურჯი ეროვნებისა

975/2004/2



7-9
2004

ბესარიონ
ჟღენტის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
ნინო (ციცინო) კვანტალიანი

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსუდან ლანდია

რედაქტორები:
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ინგა ლუტიძე
ნინო ჭუმბურიძე.

მხატვრული რედაქცია და
დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

მხატვარი
გია ლაშხი

სარედაქციო საბჭო:
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
კახა გაბუნია,
თორნიკე გოგოლაშვილი,
ლილი გოქსაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჟღენტი.

დირექტორი
კონსტანტინე კაკიტაძე

რეგისტრირებულია ქ. თბილისის
მთაწმინდის რაიონის სასამართლოს
მიერ 12.04.99. № 4/9-88.
მისამართი:
ვ. ინგოროყვას ქ. №8
ტ. 99-75-48

E-mail. burji@posta.ge

## იაკობ გოგებაშვილი:

ეროვნებას სამი ბურჯი აქვს — **მამული, ენა და ეროვნული სკოლა.**

ასე რომ, ეროვნული სკოლა დედაენის ტოლფასი ღვთაებრივი საუნჯეა, ბურჯია ჩვენი ქართველობისა.

გვჯერა, ეროვნული სკოლის რეფორმა უკეთესი ხვალინდელი დღის საწინდარია; კანონები ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ — ამ რეფორმის მყარი საფუძველია!

ამიტომაც გამოიწვია ამ კანონპროექტებმა ასეთი დიდი ინტერესი... ამიტომაც გვინდა, რომ უკეთესი კანონები გვქონდეს... ჟურნალის ამ ნომერში გთავაზობთ ერთგვარ დაიჯესტს — რამდენიმე წერილს განათლების კანონპროექტების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№ 7-9 (81)

2004

# შინაარსი

**გ. გოგოლაშვილი,** კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ და ქართული უნივერსიტეტი, ანუ არ მიდის ტაძრისკენ ეს გზა ........ 2

**მ. ცაცანაშვილი, მ. ქურდიანი,** სტრატეგიული განვითარება თუ რეფორმატორული მარცხი? ........ 4

**თ. კობახიძე,** რამდენიმე მოსაზრება უმაღლესი განათლების კანონპროექტის თაობაზე ... 12

**რედაქტორისგან** ........ 16

**ი. ჭუმბურიძე,** ეს ის უნივერსიტეტია ........ 17

**ე. ბუჯიაშვილი,** ორივე ფეხით ევროპაში ........ 19

**თ. გამყრელიძე,** რამდენიმე მოსაზრება მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების რეფორმების თაობაზე ........ 21

**გ. გოგოლაშვილი,** არ ჩანს შემთხვევითი ........ 22

თუ საძირკველი დანგრეულია ........ 22

**მ. ცაცანაშვილი, გ. გოგოლაშვილი,** პროექტი „ილია ჭავჭავაძე", რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეწინააღმდეგება ........ 24

**გ. წიბახაშვილი,** ფილოლოგებო და ისტორიკოსებო, თქვე ქვეყნის დამაბრკოლებელნო ........ 29

**ახალი წიგნები** 8-9, 21, 26-27, 30-31



უმთავრესი
ბურჯი
ეროვნებისა
გახლავთ
სამშობლო ენა.

ილია

გიორგი გოგოლაშვილი

# კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ და ქართული უნივერსიტეტი

## ანუ არ მიდის ტაძრისკენ ეს გზა!

**უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვამ საინტერესო ხასიათი მიიღო: მეც მომიხდა რამდენჯერმე აზრის გამოთქმა ამ საკითხთან დაკავშირებით, ალბათ, ამიტომაც მომმართეს გაზეთის მკითხველებთან მესაუბრა ამ თემაზე. ცხადია, ასეთ შემოთავაზებაზე უარის თქმა არ მიფიქრია, მაგრამ, ღირს კი ამ თემაზე საუბარი? სათქმელი ბევრი ითქვა, მაგრამ გამგონე ვინაა? აინტერესებთ კი კანონპროექტის შემოქმედთ სხვისი აზრი?..**

– რატომ ეფიქრობ ასე? – მოგახსენებთ: არ მახსენდება ბოლო ათწლეულში ქართულ უნივერსიტეტში რაიმე საკითხი განხილულიყო ასეთი საყოველთაო ინტერესითა და ჩვეული პროფესიონალიზმით. კანონპროექტზე იმსჯელა რამდენიმე ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ; სააქტო დარბაზში გაიმართა კანონპროექტის საჯარო განხილვა და ბოლოს, დიდი სამეცნიერო საბჭოს სამსაათიანი სხდომა მიეძღვნა ამ თემას...

ცხადია, მსჯელობა იყო უაღრესად საქმიანი. განიხილებოდა კანონპროექტში წარმოჩენილი თითქმის ყველა პრობლემა; ძირითადი დასკვნა განხილვის სულისკვეთების შესაბამისი იყო – მიმართვა გაეგზავნათ საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ამ სახით კანონპროექტის პარლამენტში შეტანა არ იქნებოდა მიზანშეწონილი...

ამგვარი დასკვნა რომ სასიამოვნო არ იქნებოდა კანონპროექტის შემოქმედთათვის, ცხადია, მაგრამ პირად ამბიციაზე მაღლა სრულყოფილი კანონის შედგენის სურვილი უნდა იდგეს. ამიტომაც ყველა შენიშვნა და სურვილი უნდა მოისმინონ; ყველაფერი აიწონ-დაიწონოს და ისე იქნეს განსჯილი... საერთოდ, რამდენადაც ვიცი, ნებისმიერი პროექტის განხილვისას, შეჯერება ხდება აზრებისა; თვალსაზრისთა სხვადასხვაობის შემთხვევაში, ან ერთის აზრს მიიღებენ, ან – მეორისას, ანდა მესამე ვარიანტი შემუშავდება – მხარეთათვის მისაღები. ეს წესია, მაგრამ... მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, წესი არ წესობს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული განხილვების ამბავი რომ გახმაურდა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში სიმოკლისათვის სამინისტროდ მოვიხსენიებთ) მესვეურებმა იწყინეს, როგორ შემოგვბედესო კრიტიკა და ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, ბატონმა გიგი თევზაძემ, ტელევიზიით განაცხადა, ჩვენ უნივერსიტეტთან არ ვითანამშრომლებთო. მიზეზი მაშინ არ უთქვამს, მაგრამ შემდეგ დააზუსტეს – კორუმპირებულები არიან უნივერსიტეტელებიო... მოტივაცია ღიმილის მომგვრელია (თუ სატირალი - არა): კორუმპირებულ პირებს სამართალდამცველებმა უნდა მიხედონ, არაკორუმპირებულებთან კი მსურველმა უნდა ითანამშრომლოს. თუ იმას ფიქრობენ სამინისტროში, რომ ყველა უნივერსიტეტელი კორუმპირებულია, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! მაშინ უნდა დახურონ უნივერსიტეტი!... უნივერსიტეტისადმი ასეთი დამოკიდებულება არ არის, რბილად რომ ვთქვათ, საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა. ამას სხვა სახელი ჰქვია...

ბატონი გიგი თევზაძის პოზიციას იზიარებს და, შეიძლება ითქვას, განავრცობს სამინისტროს მეორე მაღალჩინოსანი, ბატონი **რატი ამაღლობელი**. უნივერსიტეტში გამართული კანონპროექტის განხილვის შემდეგ, რატი ამაღლობელისა და გიგი თევზაძის ინიციატივით, ლიტერატურულ კაფეში სასწრაფოდ შეიკრიბა მათი თანამოაზრეების (თუ თანამოსაქმეების) ჯგუფი (ლაშა ბუღაძე, ზაალ სამადაშვილი და სხვები), რომ დაეგმოთ უნივერსიტეტის „მოქმედება“. ბატონმა რატი ამაღლობელმა საქვეყნოდ განაცხადა, უნივერსიტეტში ჩატარებულ განხილვებზე კანონპროექტის მიმართ არც ერთი კონკრეტული შენიშვნა არ გამოთქმულაო. ეს აზრი მან შემდგომშიც არაერთხელ გაიმეორა.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ასეთ „ზუსტ“ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას! იმისთვის არსებობს ეს სამსახური, რომ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება? და, რაც მთავარია, ლიტერატურულ კაფეში სამინისტროს მაღალ-

ჩინოსნების ინიციატივით შეკრებილი ჯგუფი საზოგადოების წარმომადგენელთა სახელით გამოვიდა განცხადებით და დაგმო უნივერსიტეტის „ულირსი“ საქციელი!..

უნივერსიტეტში გამოთქმული შენიშვნების მიმართ უფრო მწვავე რეაქცია ჰქონდა მინისტრს, ბატონ **კახა ლომაიას**. მან ბრძანა: უნივერსიტეტში აქტიურობდნენ ის ადამიანები, ვისაც კორუფციული ლუკმა წაართვით მისაღები გამოცდების უმაღლესი სასწავლებლიდან გატანით. და ამ ჰრს იმეორებენ მინისტრი და მისი თანამებრძოლები, სადაც კი შესაძლებლობა მიეცემათ. ე. ი. თუ არ დაეთანხმები სამინისტროს ჰრს, კორუმპირებულის იარლიყი ზედ გაქვს.

არადა ქართულმა საზოგადოებამ იცის და ღვთის მადლით, კარგადაც იცის, ვინ არიან ის ადამიანები, ვისაც მინისტრი ახეთ იარლიყებს აკრებს; რამდენიმე მათგანს დავასახელებ: **თამაზ გამყრელიძე, ჯუმბერ ჭუმბურიძე, რისმაგ გორდეზიანი, ანზორ ხელაშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, მაია ნათაძე** და სხვანი...

აი, ამ ადამიანებზე ბრძანა ბატონმა მინისტრმა კორუფციული ლუკმა წაართვით და ამიტომ გააქტიურდნენო, მეტიც, „გააქტიურებული“ უნივერსიტეტელების მისამართით მან არაერთხელ გამოიყენა ეპითეტები – „უსინდისო“, „უნამუსო“, „უსირცხვილო“... სიტყვა „ისტერიკამაც“ არაერთხელ გაიჟღერა.

სხვა იყო, როცა უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტელების მიმართ ქუჩიდან ისმოდა ასეთი ეპითეტები და ბრალდებები, მაგრამ სხვაა, როცა ამას ხელისუფალი ამბობს. ხელისუფლებას უსინდისობის აღმკვეთი საშუალებებიც მოეპოვება, თუ ბრალდება სამართლიანია. ქუჩა-ქუჩა ბრალდების წამოყრება არაა სამართლებრივი გადაწყვეტა საკითხისა... და თუ ბრალდება უსამართლოა, მაშინ, პასუხი ბრალმდებელმა უნდა აგოს... მაგრამ ბრალმდებელი დაჟინებით იმეორებს ბრალდებებს და არც ცდილობს, იმ კონკრეტულ კითხვებს გასცეს პასუხი, საუნივერსიტეტო განხილვებზე რომ დაისვა.

ამგვარივე პოზიცია ჰქონდა უნივერსიტეტში გამოთქმულ შენიშვნებზე სამინისტროს კიდევ ერთ მაღალჩინოსანს, ბატონ **სიმონ ჯანაშიას**...

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის წინააღმდეგ მიმართულ ყველა გამოხდომას, გამოსვლას თუ სიტყვას აქ ვერ გამოვეკიდებით, მაგრამ სამინისტროს მესვეურთა ზოგადი ჰრი გიგი თევზაძის პირით ითქვა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამინისტრო თანამშრომლობას არ აპირებს!..

და უფრო მძიმე დასკვნა ბატონმა მინისტრმა შემოგვთავაზა: ჟურნალისტმა ჰკითხა ბატონ კახა ლომაიას, როგორ ხედებით უნივერსიტეტის კრიტიკასო და მინისტრმა უპასუხა: როგორც ქარავანიო! ე. ი. რაო? – უნივერსიტეტის ჰრი ძაღლის ყეფაა ჩემთვის! ბატონ მინისტრს შეუძლია საკუთარი თავი აქლემს შეადაროს, მაგრამ მას არა აქვს უფლება ჩვენს ალმამატერს შეურაცხყოფა მიაყენოს!

მერე და უფრო არსებითი: ასეთი რამ ქართული



უნივერსიტეტისათვის მაშინაც კი არ უკადრებიათ, როცა ივანე ჯავახიშვილი გააძევეს ტაძრიდან უკეთურებმა!..

საუბედუროდ ჩვენდა, ასეთი იყო „პასუხები“ და რეაქციები საუნივერსიტეტო განხილვებზე...

და მაინც, რა ბედი ელის იმ შენიშვნებს, სურვილებსა თუ შეკითხვებს, უნივერსიტეტში რომ გამოითქვა კანონპროექტის მიმართ?

არ მიაქცია ყურადღება უნივერსიტეტმა ზემოთაყვანილ გამოხდომებს და საინიციატივო ჯგუფმა თხოვნით მიმართა მინისტრს, კანონპროექტის ავტორები მობრძანებულიყვნენ და შეხვედროდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. ბატონმა მინისტრმა სამინისტროში მიგვიწვია. საინიციატივო ჯგუფის მიზანი იყო, დიალოგი გამართულიყო კანონპროექტის ავტორებსა და უნივერსიტეტის თანამშრომლებს შორის. სამწუხაროდ, ამ მიზანს ვერ მივაღწიეთ; დიალოგზე უარი გვითხრეს; მოიწერეთ თქვენი შენიშვნებიო... ამგვარად გაგზავნილი შენიშვნების ბედი, ნათელია, როგორიც იქნება...

მინისტრი და მისი გუნდი ქართულ უნივერსიტეტში მაინც მოვიდნენ, ოღონდ საკმაოდ „ფარულად“. პროფესორ-მასწავლებლებმა და თქვენ წარმოიდგინეთ, ძირითადად, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამაც ამ შეხვედრის თაობაზე არაფერი იცოდნენ.



23448
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამ ცაცანაშვილი, მიხეილ ქურდიანი

# სტრატეგიული რეფორმატორუ

გაზეთ „ქართული უნივერსიტეტის" სექტემბრის ბოლო ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი შთაბეჭდილებები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონპროექტზე, უმაღლესი განათლების შესახებ. მას შემდეგ, გაზეთში „ახალი განათლება" (7-13 ოქტომბრის ნომერში) დაიბეჭდა კანონპროექტის გადამუშავებული ვარიანტი, რომელიც განათლების სტრატეგიული განვითარების სისტემურ სურათს მაინც ვერ იძლევა. შევეცდებით, კვლავ მივყვეთ კანონპროექტის ავტორთა მოსაზრებებს და ვაჩვენოთ, შემოთავაზებული სისტემა განათლების სტრატეგიული განვითარების მაჩვენებელია თუ რეფორმატული მარცხის.

შეფასებისათვის კვლავ სამ მიმართულებას ავირჩევთ: მიზანშეწონილობა, ნორმათა იურიდიული ექსპერტიზა, ეკონომიკური დასაბუთებულობა, რადგან ამ ტრიადის რომელიმე რგოლის ხარვეზი კანონის მიზნებსა და ამოცანებს არარეალურს ხდის და სარეგულირებელი ურთიერთობის სრულ დისკრედიტაციას იწვევს.

მიზანშეწონილია თუ არა, განათლების კონსტიტუციური უფლების რეალიზაცია ერთიანი განვითარების სტრატეგიის გარეშე განხორციელდეს? კანონპროექტი, თავისი შინაარსით, არა მარტო სისტემის შიგნით, სისტემის გარეთაც ექსცერპტული (ფრაგმენტული) ხასიათისაა და განვითარების იდეას არ შეიცავს. რატომ?

განათლების პოლიტიკისა და მართვის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა ხომ პარლამენტის ფუნქციაა (ამას ავტორებიც აღიარებენ, კანონპროექტის მე-5 მუხლით). განათლების პოლიტიკაში კი, კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღების, ფორმის არჩევისა და შესაბამისი გარანტიების სისტემა იგულისხმება, რასაც (კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1 ნაწილის „ო" ქვეპუნქტის შესაბამისად) მეცნიერების ორგანიზებისა და მართვის პოლიტიკაც უნდა დაემატოს. უმაღლესი განათლება ამ სისტემის ქვესისტემაა და რეფორმის ერთიანი პოლიტიკის არარსებობის გამო შეუძლებელია გაირკვეს, რა კავშირებია ქვესისტემის სტრუქტურულ ერთეულებს შორის. უფრო გასაგებად: ბაკალავრი – მაგისტრი – დოქტორი აკადემიური ხარისხებია და, შესაბამისად, უმაღლესი განათლების საფეხურები. როგორია

როგორც ტელევიზიიდან გავიგეთ, „კმარას" აქტივისტებმა მოაწყვეს შეხვედრა მინისტრსა და სტუდენტობას შორის. ეს შეხვედრა კანონპროექტის განხილვის მიზნით გაიმართა, მაგრამ განხილვა არ შედგა: ვერ გაუგეს ერთმანეთს მინისტრმა და სტუდენტობამ. შეხვედრის შესახებ თითქმის ყველა სატელევიზიო არხი იყო ინფორმირებული და თითქმის ყველა არხის ინფორმაცია მოვისმინე: ბატონი მინისტრი და მისი გუნდი სტუდენტებს უხსნიდნენ, რა ცუდი პროფესორ-მასწავლებლები ჰყავთ მათ, რომ ისინი არიან კორუმპირებულები, არაპროფესიონალები, არაკვალიფიციურები... სტუდენტებს მასწავლებლებს უგინებდნენ...

საბედნიეროდ, უნივერსიტეტის სტუდენტობა, ტრადიციულად, თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა და ნახა საქართველომ, რომ ასეთ „ტაქტიკას" უნივერსიტეტში გასავალი არ ექნება!..

მეორე დღეს დაგეგმილი შეხვედრა სამინისტროს მაღალჩინოსნებსა და მაღლივი კორპუსის სტუდენტებს შორის ჩაიშალა: სამინისტროდან შემოუთვლიათ, სტუდენტებში პროვოკატორები არიან და შეხვედრის ნორმალურად ჩატარების საშუალება არ გვექნებაო...

ე. ი. რა ხდება? – თუ სტუდენტი არ დაეთანხმება მათ აზრს, არ გაიზიარებს მათს პოზიციას, პროვოკატორია; თუ პროფესორი დაუსვამს შეკითხვას, შენიშვნას მისცემს მათ, კორუმპირებულია!

და პირიქით: თუ სტუდენტი მათს აზრს დაეთანხმება, შეკითხვას არ მისცემს და ტაშს დაუკრავს – კარგი სტუდენტია; თუ პროფესორი აღტაცებული შეხვდება სამინისტროს მაღალჩინოსნებს და ყველაფერში დაეთანხმება მათ, პატიოსანია!..

ასეთია კანონპროექტის განხილვის დღევანდელი ვითარება. ამიტომ დავსვით დასაწყისში ის კითხვები. ფაქტია, განხილვა არავის აინტერესებს. მე ვთქვი, შენ დაიჯერეო. არ დაიჯერებ? მოიწერე შენი აზრი და ამით დაიკმაყოფილე ინტერესებიო... ჰქვია ამას განხილვა? ეს გზა მიგვიყვანს ტაძრამდე? არა, ბატონებო! ტაძრისკენ სავალი გზა გონიერული რეფორმის გზაა, დიალოგის გზაა, კომპრომისების გზა... და კიდევ: ეროვნული სკოლის ბალავრის – ქართული უნივერსიტეტის – ღირსების დაცვის გზა! დიახ, ეს გზა გადაარჩენს საქართველოს განათლების სისტემას, საქართველოს!

# განვითარება თუ ლი მარცხი?

ამ ქვესისტემაში სტრუქტურათა უკუგების პრინციპი. ბაკალავრს ასწავლის მაგისტრი და დოქტორი, მაგისტრს – დოქტორი, დოქტორს – ?..

პროექტი არა მარტო ქვესისტემის შიგნით არ ცნობს სტრუქტურათა უკუგების პრინციპს, არამედ მის გარეთაც. გაურკვეველია, ბაკალავრს აქვს თუ არა უფლება, ასწავლოს საშუალო განათლების ქვესისტემაში და მის რომელ დონეზე, ან ვინ (ხარისხის მიხედვით) ასწავლის დოქტორანტურაში და ა. შ.

პროექტის ახალ ვარიანტში არის მცდელობა, სამეცნიერო და პედაგოგიური ხარისხები ერთმანეთისგან გაიმიჯნოს. უფრო სწორად, სამეცნიერო ხარისხებზე საერთოდ აღარ არის საუბარი. ამ შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეცნიერების საკითხი ცალკე კანონის რეგულირების სფერო იქნება. მაგრამ, არა მარტო ერთიანი პრინციპების არსებობა, ქვესისტემებს შორის კავშირების აუცილებლობაც ითხოვს უმაღლესი განათლების კანონში, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანიზაციაში, სამეცნიერო ხარისხების მქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზეც იყოს მინიშნება (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სამეცნიერო დაწესებულების ხასიათს რომ ატარებს, ამას არც პროექტის ავტორები უარყოფენ), ანუ კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის პრინციპი: აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული ხარისხებისა და წოდებების შესახებ იგნორირებულია სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების საზიანოდ.

მიზანშეწონილია თუ არა მართვის სისტემაში ავტონომიურობის დეკლარირებით არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები დაითხოვოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (პროექტის მე-7 მუხლის 1 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი და სხვა)? თუმცა, აქ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობაზე საუბარიც აღარ არის, რადგან პროექტის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ტერმინთა განმარტებაში ავტონომია უმაღლესი საგანმანათლებლო ერთეულის თავისუფლებაა, დამოუკიდებლად განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინანსო, სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობა და არა საგანმანათლებლო დაწესებულების (უნივერსიტეტის). რა, უნივერსიტეტის ავტონომიურობა პროექტის ავტორთათვის პრინციპულად მიუღებელია?

მიზანშეწონილია თუ არა მმართველობითი ფუნქციების დუბლირება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ფაკულტეტს შორის (პროექტის მე-8 მუხლის სათაურია კომპეტენციათა გამიჯვნა, უფლებამოსილებები კი იდენტური. ან, მე-15 მუხლისა და 30-ე მუხლის მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები არსებობს ფაკულტეტზე და უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციების გაუმიჯნავად)?

მიზანშეწონილია თუ არა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცეთ ისეთი უფლებები, რომლებიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის მიხედვით, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება (მაგ: 61-ე მუხლით, საакრედიტაციო სამსახურის შექმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით)?

რაც შეეხება პროექტის იურიდიულ ექსპერტიზას,

> ვინ არ იცის, რომ ჩვენი ბედის წერა
> მხოლოდ სწავლა განათლებაზედ არის
> დამოკიდებული?
>
> აკაკი

მკითხველისათვის დამღლელი რომ არ იყოს, მხოლოდ ძირითად საკითხებზე შევჩერდებით:

კანონპროექტის მეორე თავი უმაღლესი განათლების სისტემის მართვას ეხება. საქართველოს პარლამენტი რომ უმაღლესი განათლების პოლიტიკას განსაზღვრავს (მუხლი 5) და საქართველოს მთავრობა მას განახორციელებს (მუხლი 6) მართებული დებულებებია, თუ კანონში შესაბამისი მექანიზმები იქნება ჩადებული.

რაც შეეხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებას (მუხლი 7), ის საკმაოდ ეგზალტირებულია და თამამად იჭრება პარლამენტის, პრეზიდენტის, კონტროლის პალატის თუ სხვა ორგანოთა უფლებამოსილებებში. იგნორირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებათა უკვე მიღწეული ავტონომიურობის პრინციპები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ადგენს აკრედიტაციის ჩატარების წესსა და პირობებს, ახორციელებს აკრედიტაციას, აკონტროლებს მათ შესრულებას, უფლება აქვს,

გაუქმოს მინიჭებული აკრედიტაცია (მე-7 მუხლი 1 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი). ამის პარალელურად, პროექტში ვხვდებით ნორმებს, რომელთა მიხედვით, საკრედიტაციო სამსახურის დირექტორს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი, ხოლო თვით საკრედიტაციო სამსახური დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში (61-ე მუხლი, მე-2 პუნქტი). უფრო დრამატულად გამოიყურება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოების – სენატისა და აკადემიური საბჭოს ვადამდე შეწყვეტის უფლებამოსილება (მე-7 მუხლი, 1 პუნქტი, „მ“ ქვეპუნქტი), ნორმატიული აქტების შესრულებაზე კონტროლის მოტივით, ამ დაწესებულებათა საქმიანობის ფინანსური შემოწმების უფლება (მე-7 მუხლი, 1 პუნქტი, „ნ“ ქვეპუნქტი), აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცება (მე-7 მ. 1 პ. „ო“ ქვეპ.), საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების არჩევის პროცესზე მონიტორინგის უფლება (მე-7 მ. 1 პუნქტი, „უ“ ქვეპუნქტი.).

> ქართველები არასოდეს არ ყოფილან მოკლებულნი სწავლის და განათლების სურვილს არც ძველად და არც ახალ დროში.
>
> იაკობი

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია, დაითხოვოს სენატი, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება ორჯერ ვერ გაივლის ინსტიტუციურ აკრედიტაციას ან შეუძლებელია შეთანხმება საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებს შორის (მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი). ამ და სხვა უფლებამოსილებათა ფონზე, საკმაოდ აჟიტირებულად გამოიყურება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა (მეოთხე თავი).

კანონპროექტით, საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია: სენატი, აკადემიური საბჭო, რექტორი, კანცლერი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. წესდებით, სხვა ორგანოების შექმნის შესაძლებლობაც დაიშვება (მუხლი 14). მმართველობის ასეთი სისტემა უცხო არ არის ევროპული უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მსგავსი მოდელები გერმანულ კანონმდებლობაშიც შეგვხვედრია, მაგრამ მხოლოდ დასახელებებია იდენტური და არა შინაარსი, სტრუქტურული თანაწყობა, ურთიერთმიმართება, ანგარიშვალდებულება და შექმნის პროცედურები.

მართვის პრინციპებში ცალკეა გამოყოფილი თანასწორი მოპყრობა ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებების მიუხედავად (მე-15 მუხლი). საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი კი მოქალაქეთა თანასწორობას აღიარებს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, თუ ენობრივი კუთვნილების მიუხედავად და პრეამბულაში სოციალურ და სამართლებრივ სახელმწიფოზეა ორიენტაცია აღებული. რატომ ჩნდება კანონში კონსტიტუციისაგან განსხვავებული ცნებები, განსაკუთრებით სოციალური წარმოშობის კუთხით?

სენატი, კანონპროექტის მე-16 მუხლის მიხედვით, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანოა, აკადემიური საბჭო – უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო (მე-19 მუხლი). ფუნქციების მიხედვით კი, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო (აკადემიური საბჭო) წარმომადგენლობით ორგანოს (სენატს) დასამტკიცებლად წარუდგენს რიგ საკითხებს (მე-20 მუხლი). მაშინ, რაში გამოიხატება უმაღლესობა?

მე-17 მუხლით, **სენატი:**

შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებასა და შინაგანაწესს;

ამტკიცებს ეთიკის კოდექსს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს (დამტკიცების მექანიზმი რამდენად შეესაბამება ეთიკის კოდექსს, ჩვენთვის გაუგებარია, თუმცა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები რომ შრომის კანონთა კოდექსის პრეროგატივაა და მას სენატი ვერ დაამტკიცებს, აუცილებლად ყურადღება მისაქცევი ფაქტია);

აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ირჩევს კანცლერს, ამტკიცებს მის წლიურ ანგარიშს და შეუძლია, ვადამდე შეუწყვიტოს მას უფლებამოსილება. ასეთი მოთხოვნით, აკადემიურ საბჭოსაც შეუძლია, მიმართოს სენატს. გაუგებარია, თუ კანცლერი ანგარიშს და ადმინისტრაციულ სტრუქტურას დასამტკიცებლად სენატს წარუდგენს, აკადემიურ საბჭოს რა ბერკეტები აქვს, კანცლერის გადაყენების მოტივირებული წინადადებები რომ შეიმუშაოს?! სენატს, სხდომების ჩატარების ორგანიზებისათვის, ჰყავს სპიკერი, რომელსაც სენატი, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს.

რაც შეეხება **აკადემიურ საბჭოს**, იგი:

შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმას. ეს აკადემიური საბჭოს ექსკლუზიურ უფლებად არის მიჩნეული. არც ერთი ორგანო, არც სახელმწიფო მმართველობიდან და არც შიდა წარმომადგენლობიდან, რაიმე ფორმით, ამ უფლებაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. ისე, ეს საკითხი განათლების პოლიტიკის ნაწილია და პარლამენტის უფლებამოსილებებთან უნდა იყოს დაკავშირებული;

ფაკულტეტის წარდგინებით, ამტკიცებს სასწავლო და კვლევით გეგმებსა და პროგრამებს;

ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ადგენს სხვა უმაღლესი სასწავლებლების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხების ცნობის წესს;

ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოების დებულებებს, წარუდგენს სენატს ხარისხის უზრუნველყოფის უფროსის კანდიდატურას;

იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორისა და სხვა აკადემიური წოდების მინიჭების შესახებ;

**რექტორი**, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელს აკადემიურ და სამეცნიერო სფეროში. აკადემიური საბჭო მხოლოდ კვლევით გეგმებსა და კვლევითი პროცესის შეფასების წესს ადგენს, სამეცნიერო სფეროში ორგანიზაციული უზრუნველყოფა არსად არის რეგლამენტირებული, ასეთ შემთხვევაში, საერთოდ გაუგებრად გამოიყურება რექტორის წარმომადგენლობითი ფუნქცია სასწავლო და სამეცნიერო სფეროში.

პროექტის ძველი ვარიანტისგან განსხვავებით, რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელიც აღარ არის, არც რაიმე უფლებამოსილება აქვს უნივერსიტეტის მართვაში, გარდა უნივერსიტეტის სახელით გარიგებათა დადებისა. აღარავინ ითხოვს ანგარიშს რექტორისაგან, არც გარიგებების კანონიერება აინტერესებს ვინმეს, მაგრამ რექტორის დათხოვნის უფლება მაინც რჩება განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. რატომ? – გაუგებარია, იგი ხომ მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეა. ძველი პროექტისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელად გამოდის კანცლერი, რომელსაც სენატი აკადემიური საბჭოს წარდგინებით 4 წლის ვადით ირჩევს. იგი უფლებამოსილია, დადოს გარიგებები საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელით. ნახეთ, ეს ფუნქცია რექტორსაც აქვს. თუ ასეა, მაშინ საკითხთა წრე მაინც გაიმიჯნოს რექტორსა და კანცლერს შორის. კანცლერი ადგენს ადმინისტრაციის სტრუქტურას, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს; ამზადებს ბიუჯეტის პროექტს და ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს სენატს დასამტკიცებლად; პასუხისმგებელია საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე. კანცლერი ანგარიშვალდებულია სენატისა და აკადემიური საბჭოს წინაშე (ამ უკანასკნელთან ანგარიშვალდებულება გაუგებარია, აკადემიურ საბჭოსთან მას რაიმე ფუნქციური კავშირი არა აქვს, სენატისაგან განსხვავებით). კანცლერი ვადამდე შეიძლება დაითხოვოს სენატმა, წლიური ანგარიშისა და ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო, აგრეთვე, მოტივირებული გადაწყვეტილებით. რისი ვალდებულებაც აქვს კანცლერს, მისი შეუსრულებლობის გამო დათხოვნის საფუძვლებში ჩამონათვალი არსებობს. დამატებით რა მოტივირებულ გადაწყვეტილებაზე უნდა იყოს ლაპარაკი, გაუგებარია,. ინკვიზიცია ხომ არ არის?! ამასთან, კანცლერის თანამდებობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ისე არ „აღიზიანებს", როგორც „უფლებააყრილი" რექტორის (კანცლერის დათხოვნა მის უფლებამოსილებაში არ შედის? – ძველი პროექტის გამოძახილით ხომ არ დარჩა ეს საკითხი ახალ კანონპროექტში?!)

საინტერესოა დაწესებულების ბიუჯეტის დამტკიცების წესი. თუ კანცლერი არ დაეთანხმება სენატის შენიშვნებს, უფლება აქვს, ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი დაუბრუნოს სენატს დასამტკიცებლად, აკადემიური საბჭოს წინადადებითა და დასაბუთებული შენიშვნებით. როგორ ხდება ბიუჯეტის ფორმირებაში აკადემიური საბჭოს თანამონაწილეობა, არსად არ არის მითითებული, ხელმეორედ წარდგენილი ბიუჯეტის დაუმტკიცებლობა კი ავტომატურად იწვევს კანცლერის უფლებამოსილების შეწყვეტას. კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვად, ნამდვილად, ვერ მივიჩნევთ იმავე, ანუ არაკორექტირებული ბიუჯეტის ხელმეორედ წარდ-

> საჭიროა ვიცოდეთ, რა უნდა მოეთხოვებოდეს სკოლას... სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწვრთნიდეს კიდეც ბავშვსა, ასწავლიდეს კიდეც. წვრთნა და სწავლა ხელიხელ გადაბმული უნდა მიდიოდეს სკოლაში.
>
> ილია

გენის მექანიზმს. პირიქით, ასეთი საკონფლიქტო მუხტები მრავლადაა ჩადებული პროექტში, რომლის არბიტრად განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოდის, ის დაითხოვს საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის ორგანოებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემური შეფასების მიზნით, იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იდეა მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ მის ორგანიზაციულ წყობას შევხედავთ, შედეგი მძიმე წარმოსადგენია. საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოსთან (პროექტში ხან საბჭოა ნახსენები, ხან – სამსახური). ასეთი დუბლირება, ურთიერთმიმართებისა და ფუნქციათა გაუმიჯნაობა, შედეგზე

ორიენტირებულ რეგულირების მექანიზმს ნამდვილად არ გულისხმობს, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ორგანოს სუბიექტურ შემადგენლობაზე (ვინ შეიძლება იყოს მისი წევრი?), სადაც მხოლოდ სტუდენტების მონაწილეობაზეა აქცენტი გამახვილებული (24-ე მუხლის პირველი პუნქტი).

რაც შეეხება ფაკულტეტს, როგორც ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, ის შედგება სასწავლო კვლევითი (კათედრა, ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა) სტრუქტურული ერთეულებისაგან.

კურიოზებს ვერც აქ ავცდით: ერთი და იმავე შინაარსის სუბიექტი ერთ სისტემაში სხვადასხვა სტატუსით გვევლინება. მაგალითად, ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურაში დამოუკიდებელ ერთეულად არის ჩათვლილი, ფაკულტეტის სტრუქტურაში იგი დამხმარე სტრუქტურაა. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, რომლებშიც პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები შედიან, გადამწყვეტი ხმის უფლებით, ხოლო სხვა თანამშრომლები – სათათბირო ხმის უფლებით.

ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს და ამტკიცებს ფაკულტეტის ბიუჯეტს, ირჩევს დეკანს, შეიმუშავებს და საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და კვლევით პროგრამებს. ამტკიცებს ფაკულტეტის სტრუქტურას, შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას, ძველი პროექტისაგან განსხვავებით, გამოიკვეთა, რომ სადისერტაციო საბჭო მხოლოდ აკადემიურ ხარისხებს ანიჭებს, მაგრამ რა პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს სადისერტაციო საბჭოები, რომ ხარისხების მინიჭების ერთიანი სისტემა გვქონდეს, კანონპროექტში არ ჩანს. თუ ასეთი სისტემის უზრუნველმყოფად საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით აკადემიურ საბჭოს მივიჩნევთ, რომელიც ამტკიცებს მათ დებულებას, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ამ სფეროში ერთიანი სისტემის არსებობა ნამდვილად გამორიცხულია.

ფაკულტეტის დეკანი, რომელიც ოთხი წლის ვადით აირჩევა პროფესორთა შემადგენლობიდან, უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას (რა ბერკეტებით, არ ჩანს?!), ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და კვლევით პროგრამებს, შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურას. პასუხისმგებელია სენატის, აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე (პასუხისმგებლობის სახეები ან ფორმები არსად არ არის პროექტში მითითებული), პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვაზე. საერთოდ, რა მიმართება აქვს ფაკულტეტის ბიუჯეტს საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტთან და მათი უკუგების პრინციპი ან ხარჯვის წესი რა აქტით უნდა განისაზღვროს, მინიშნებაც არ არის კანონპროექტში.

ავტორებს ვერ შევედავებით: ფაკულტეტის ავტონომიის საკითხი არა მარტო ტერმინთა განმარტებაში, დამოუკიდებელი ბიუჯეტის არსებობასა და დეკანის შედარებით მყარი ფიგურის წარმოსახვაშიც გამოიხატა (მას, კანცლერისა და რექტორისაგან განსხვავებით, ვერავინ გადააყენებს – ვერც მოტივირებული წინადადებით და ვერც სენატისა თუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის). ასეთი სტრუქტურა, იქნებ, საინტერესოც იყოს, მაგრამ, რამდენად ეფექტური იქნება იგი, როცა საერთო სისტემიდანაა ამოვარდნილი, ამას დიდი ანალიზი არ სჭირდება.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით იქმნება (30-ე მუხლი), მაგრამ, ფუნქციურად, მისი მოვალეობა ყოფილა სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფა (№30-ე მუხლის მე-3 პუნქტი). დეკანის ფუნქციებში ასევე შევხვდით სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობის უზრუნველყ-

## ახალი წიგნები






ოფის უფლებამოსილებას. თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შეფასებასაც ახდენს, მაშინ მისი წევრი რატომ არ უნდა იყოს სამეცნიერო ხარისხის მატარებელი (პროექტით, მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრი). მეცნიერული ხარისხების გულშემატკივართ კიდევ ერთხელ გაგიცრუებთ იმედს, რადგან პროექტის ავტორები რაიმე სამეცნიერო ხარისხების სისტემაზე არც ფიქრობენ. ამიტომაც ეს პროექტი შინაარსობრივად, არ ჰგავს გერმანულ ან სხვა დასავლურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ორგანიზების სისტემას. ასე რომ, როგორც ძველ პროექტში, ასევე ახალშიც, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებზე და მართვის სხვა ორგანოებთან მის მიმართებაზე საუბარი არ არის. სრული გათიშულობის მაჩვენებელია ისიც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ დაწესებულების წესდების შესაბამისად ფუნქციონირებს, ფაკულტეტის სამსახური - ფაკულტეტის დებულების შესაბამისად. ვფიქრობთ, რომ სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა კათედრებისა და ფაკულტეტების უშუალო მოვალეობაა, ხოლო ახალი სამსახურის შექმნა როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, ისე ფაკულტეტის დონეზე, შეფასების მეთოდებისა და სტანდარტების ერთიანი სისტემის არარსებობით (კანონპროექტში ასეთი ერთიანი სისტემა საერთოდ არ ჩანს), ფუნქციათა გაუმიჯნაობით, ზედამხედველობისა და რეაგირების ხერხების არარსებობით ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის სრულ დისკრედიტაციას იწვევს:

კანონპროექტის მე-5 თავი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს ეხება. 31-ე მუხლით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დამხმარე თანამდებობის ცნებას საქართველოს კანონმდებლობა (არც უცხოური) საერთოდ არ იცნობს. რაც შეეხება პროფესორთა შემადგენლობას, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და მეცნიერ თანამშრომლები აკადემიურ თანამდებობას კონკურსის წესით იკავებენ (მ. 31 და მ. 32), მეცნიერი თანამშრომელი აკადემიური ხარისხის ან სამეცნიერო ხარისხის მატარებელი უნდა იყოს (31-ე მუხლის მე-4 პუნქტი). სამეცნიერო ხარისხი, ალბათ, აქ შემთხვევით დარჩა ძველი პროექტიდან, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეცნიერების ორგანიზებისა და ხარისხების შესახებ (მათ შორის ამ ხარისხის მინიჭების უფლების მქონე ორგანოა) რაიმე რეგულაცია პროექტში (თუნდაც დეკლარაციულ დონეზე) არ არსებობს. ისევე როგორც დამხმარე თანამდებობა, პროექტში უმისამართოდ შემორჩენილი სამეცნიერო ხარისხიც არ გვხვდება ტერმინთა განმარტებაში. კონკურსის ჩატარების წესს, აკადემიური საბჭოს წარდგენით, სენატი ამტკიცებს, მაგრამ, თურმე ეს წესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დადგენილ მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ/დანიშნულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი. ჯერ ერთი, დანიშვნის მექანიზმი არც ერთ თანამდებობაზე არ შეგვხვედრია კანონპროექტში, აქ საიდან გაჩნდა, გაუგებარია. მეორე და უფრო ცინიკური: ძველ პროექტში, აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავებაზე იყო საუბარი. ახლა მათ სამეცნიერო თანამდებობაც დაემატა. პროექტის მხარდამჭერთა მოსაზრება, რომ დღეს არსებული საუნივერსიტეტო წესდება ზღვრულ ასაკად 65 წელს მიიჩნევს, არგუმენტად ვერ გამოდგება. წესდება ეხება ადმინისტრაციულ თანამდებობას და არა აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებს. ასევე ცინიკურია აკადემიური პერსონალის უფლებები: ჩარევის გარეშე განახორციელოს კვლევა, სწავლება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება ან კიდევ, დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლების მეთოდები და საშუალებები. უსისტემო და საშემფასებლო ფარგლების არარსებობით, მოქმედი საშემფასებლო სამსახურების ფონზე, როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი


ტექსტები
გამოსაცემად
მოამზადეს და
განმარტებები
დაურთეს
ელგუჯა გიუნაშვილმა
და
ზურაბ სარჯველაძემ



უფლების რეალიზება? ისევე, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დაცვა არ შეიძლება აკადემიური თანამშრომლობის ვალდებულება იყოს. დისციპლინური პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგია. რატომ არის პროექტში აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობებზე საუბარი (35-ე; 36-ე), რა, ადმინისტრაციულ და დამხმარე თანამდებობებზე პირებმა არ უნდა დაიცვან ეს წესები? – შეადარეთ 35-ე და 36-ე მუხლები 31-ე მუხლს და დარწმუნდებით ტერმინოლოგიური უზუსტობით გამოწვეულ კონცეპტუალურ შეცდომაში. კანონპროექტით გათვალისწინებულია საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებები (38-ე მუხლი). აკადემიურ საბჭოს შეუძლია, მეცნიერებს ან საზოგადო მოღვაწეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მიანიჭოს საპატიო დოქტორის "Honoris Causa" წოდება. პენსიაზე გასულ პროფესორებს ენიჭება ემერიტუსის (პროფესსორ ემერიტუს) წოდება. ამ დებულებით აღრეულია „საპატიო დოქტორის" და სამეცნიერო ხარისხის "Honoris Causa"-ს დასავლური გაგება.

პირველი ენიჭებათ საზოგადო მოღვაწეებს (პოლიტიკოსებს, სასულიერო პირებს, ბიზნესმენებს) და ეს წოდება (ისევე, როგორც საპატიო პროფესორი), მართლაც, საპატიოა თავისი მნიშვნელობით და არასოდეს განსაზღვრავს მეცნიერების დარგს. მაგ: წოდება „თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი" მხოლოდ პატივისცემის გამოხატულებაა და რეალურად არაფერს ავალდებულებს ამ წოდების მატარებელს და არც მის მიმნიჭებელს. (ამ შემთხვევაში ასეთ ორგანოდ აკადემიური საბჭო მოიაზრება), სულ სხვაა სამეცნიერო ხარისხი – "Honoris Causa". ის ენიჭება მეცნიერს მეცნიერების კონკრეტულ დარგში განსაკუთრებული მიღწევებისათვის და თავისი იურიდიული შედეგებით არაფრით განსხვავდება დოქტორის სამეცნიერო ხარისხისაგან, რომელიც დისერტაციის დაცვის შედეგად არის მოპოვებული და მისგან მხოლოდ ხარისხის მოპოვების ფორმით განსხვავდება – ის დისერტაციის დაუცველად ენიჭება მეცნიერს გამოქვეყნებული ნაშრომების კორპუსისათვის. ამ შემთხვევაში ხარისხის მინიჭება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს კომპეტენციაა. სხვათა შორის, ჰონორის ცაუსა (დოქტორის ხარისხი) მიენიჭა თავის დროზე ივანე ჯავახიშვილს, დიმიტრი უზნაძეს, კორნელი კეკელიძეს...

კანონპროექტის VII თავი უმაღლესი განათლების საფეხურებს ეხება. 44-ე მუხლის მიხედვით, უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიანი ან სამსაფეხურიანი სწავლების საფუძველზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), რომლის პარალელურად, არსებობს დიპლომირებული სპეციალისტი (45-ე მუხლი) და უფლება აქვს, დამატებით გაიაროს მაგისტრატურის პროგრამა. კანონში არაფერია ნათქვამი, რა უფლებებს იძენს დიპლომირებული სპეციალისტი, ვისთან არის იგი გათანაბრებული ან რა მიმართებაშია სამსაფეხურიანი სწავლების სპეციალისტებთან. ვინ არიან ბაკალავრთან ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც მაგისტრატურაში და დოქტურანტურაში სწავლის უფლება ეძლევათ (46-ე; 47-ე მუხლები)? რატომ გაჩნდა 47-ე მუხლში სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცება სენატის მიერ, მაშინ, როცა ასეთი უფლებამოსილება 27-ე მუხლით აკადემიურ საბჭოს აქვს მინიჭებული? რა არის ის სამსახური, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში საზღვარგარეთ გაცემული დიპლომების ეკვივალენტურობასა და ავთენტურობას ადგენს? 49-ე მუხლში დასახელებული „ევროპულ ქსელში გაერთიანებული აკადემიური ცნობის ეროვნული საინფორმაციო ცენტრი", საკმაოდ ჟღერადია, მაგრამ მისი სტატუსი და ფუნქციები აბსოლუტურად გაურკვეველია, სამწუხაროდ, არც იმაზეა მინიშნება, ვინმე ოდესმე განსაზღვრავს კი ამ ორგანოს ფუნქციებსა და უფლებამოსილებას. საერთაშორისო ხელშეკრულებები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები ხომ საქართველოს სახელით იდება. დღეს მოქმედი კანონმდებლობა ხარისხებისა და წოდებების ერთიან სისტემას გულისხმობს და ნოსტრიფიკაციის საკითხი თუ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების დონეზე გადაწყდა, საქართველოდან ხარისხებისა და წოდებების უკუგება საზღვარგარეთ ქაოსურ სიტუაციას შექმნის.

> უნდა შევეძლოს შეიცვალო შეხედულება,
> თუ ვინმე დაგანახებს შენი შეხედულების
> მცდარობას...
>
> **მარკუს ავრელიუსი**

კანონპროექტის ყველაზე პოპულარული ნაწილია ერთიანი ეროვნული გამოცდა, რომელსაც, 51-ე მუხლის მიხედვით, უზრუნველყოფს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. ამ საკითხის საზოგადოებრივი განხილვა სისტემურ ხასიათს ატარებს და ჩვენ ყურადღებას აღარ გავამახვილებთ, მაგრამ რა სამართლებრივი ფორმით არსებობს ეს ორგანო, რა უფლებები და ფუნქციები აქვს ბლანკეტური ნორმის სახით მაინც უნდა ჩაიდოს კანონპროექტში. იქნებ, ყურადღება ამავე მუხლის მე-8 პუნქტზეც გამახვილდეს, რომლის მიხედვით გამოცდის საფასურს იხდის აბიტურიენტი. საფასურის გადახდისა

და მისგან გათავისუფლების (?) წესსა და პირობებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ამტკიცებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციისა და ლიცენზირების საკითხი ცალკე განხილვის თემაა. თუმცა, მიზანშეწონილობათა ჩამოთვლისას, აღვნიშნეთ, რომ აკრედიტაცია, საქართველოს კონსტიტუციით, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას მიეკუთვნება და მისი გადაცემა საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე არ შეიძლება. აქ ერთს დავუმატებდით, რომ 72-ე მუხლით სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ იმ აკადემიურ ხარისხებსა და დიპლომებს, რომლის გამცემ დაწესებულებას მიღებული აქვს სახელმწიფო პროგრამული აკრედიტაცია. აღიარებას სამართლებრივი შედეგი რომ მოჰყვეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, სწორედ ამიტომაა საჭირო ხარისხებისა და წოდებების ორგანიზაციული სისტემის არსებობა. პროექტის ავტორები ამ ნორმის ფორმულირებით პრობლემას ნამდვილად ვერ გადაწყვეტენ.

გარდამავალი დებულებებით, ამ კანონის ძალაში შესვლა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას იწვევს. მართვის ახალი ორგანოების არჩევამდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით დროებითი მმართველის დანიშვნა, რომელსაც იმის უფლებაც არა აქვს, თავისი კანდიდატურა დააყენოს კანცლერისა და რექტორის პირველ არჩევნებზე და პირველი რექტორის არჩევა 2 წლის ვადით, ინკვიზიციას უფრო ჰგავს, ვიდრე უფლებამონაცვლეობასა და რეფორმას. როგორც ჩანს, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიკვიდაცია ხდება და ისინი განათლების სამინისტროს განყოფილებებად იქცევიან.

თუ ჩვენ ვცდებით, ასეთი გარდამავალი ეტაპის შეფასება მაშინ ხომ მაინც შესაძლებელი გახდება, როდესაც სენატი 83-ე მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას გამოიყენებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უძრავი ქონების გასხვისების თაობაზე.

დაბოლოს, როგორია ღონისძიებათა ეკონომიკური გაანგარიშება. ამ საკითხის შესაფასებლად მხოლოდ კითხვების დასმა შეგვიძლია, რადგან პროექტს განმარტებითი ბარათი არ ახლავს:

რა ვადაში უნდა დასრულდეს ინსტიტუციური აკრედიტაცია? რა ვადაში მოხდება პარლამენტში აკრედიტაციაგავლილი სახელმწიფო უმაღლესი განათლების იმ დაწესებულებათა ხელახალი დაფუძნების შესახებ კანონთა მიღება?

რადგან პირველი ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია სახელმწიფო ხარჯზე ხდება, რამდენია ეს თანხა და რა არის დაფინანსების წყარო?

რამდენია ამ კანონპროექტის განსაზღვრული დაფინანსების სისტემა, რომელიც, ავტორთა აზრით, 2005/06 სასწავლო წლებში უნდა განხორციელდეს?

რამდენი თანამშრომელი დასაქმდება აკრედიტაციის სამსახურში, რამდენი — ეროვნული გამოცდების ცენტრში, როგორი იქნება მათი ანაზღაურების წესი და პირობები. რა ჯდება საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობითი ორგანოების არჩევნების ორგანიზება და წარმართვა. როგორი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების სახელფასო ანაზღაურება. რა თანხებია გათვალისწინებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთათვის და როგორია რეფორმის პროცესში გამოთავისუფლებული აკადემიური პერსონალის სოციალური გარანტიები.

> საერთო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდ თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულისყური, გაუწრთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა გონება მართლმსჯელობას და თვითმსჯელობას.
>
> ილია

ასე რომ, მთლიანობაში, კანონპროექტი გვთავაზობს ვირტუალური მართვის სისტემას, რომელიც ანალიზს არ ექვემდებარება და ინკვიზიციის მეშვეობით ოლიგარქულ პრინციპებს ამკვიდრებს, კორუფციასთან ბრძოლის იდეოლოგიით ქმნის ახალ კორუფციულ ბუდეებსა და ხვრელებს, თვითშეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო სტანდარტების ფრაგმენტული კომპილაციითა და წარმომადგენლობითი ორგანოების პერმანენტული არჩევნების დეკლარირებით ნიღბავს ქართული მეცნიერების სოციალურ კატასტროფასა და ქართული განათლების სტაგნაციას იწვევს. არადა, სწორი სტრატეგიული განვითარების ფონზე, საშუალო განათლება, უმაღლესი განათლება, მეცნიერება ერთიან პოლიტიკაში თუ იქნება გააზრებული და ჩამოყალიბდება ამ ტრიადის განვითარების ერთიანი სტრატეგია, სისტემის თითოეულ ელემენტის ევროპულ მიმართულებასთან დაახლოების საკანონმდებლო უზრუნველყოფაზე მსჯელობა წინაალმდეგობრივი და შეუძლებელი ნამდვილად არ იქნება. დღეს კი რა ხდება? გლობალიზაციის სიკეთის ნაცვლად, გლობალიზაციის საფრთხე დადის საქართველოში.

თემურ კობახიძე

# რამდენიმე მოსაზრება უმაღლესი განათლების კანონპროექტის თაობაზე

**უმაღლესი განათლების კანონპროექტის მოძიება მხოლოდ ინტერნეტშია შესაძლებელი; არც გაზეთის, არც რაიმე სპეციალიზებული გამოცემის ფურცლებზე ის არ გამოქვეყნებულა. ამიტომ, თუ კანონპროექტის წაკითხვა გსურს, რამდენიმე ეტაპი უნდა გადალახო: უპირველეს ყოვლისა, უნდა გქონდეს კომპიუტერი და ჩართული უნდა იყო ინტერნეტში, ანუ კლავიატურა და SL-ი შენთვის უცხო ხილი არ უნდა იყოს. შემდეგ – უნდა იპოვო განათლების სამინისტროს ვებგვერდი და ის ვებგვერდი უნდა ჩაიტვირთოს (gov.ge დომენის ყველა გვერდი ადვილად როდი იტვირთება). შემდეგ – უნდა შეურჩიო „ფონტი“ (სხვანაირად გვერდი არ „ამოვა“, ვერ წაიკითხავ). ბოლოს – მიიღებ ნანატრ სიამოვნებას.**

საქართველო, მოგეხსენებათ, კალიფორნია ნამდვილად არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ კომპიუტერული და ინტერნეტის უნარ-ჩვევები მოსახლეობის უდიდეს პროცენტს არ გააჩნია. „კანონპროექტი“ კი მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში მოძიებად საგანთა რიცხვს განეკუთვნება. ანუ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რომელიღაც ეზოტერული საზოგადოება თავის ვირტუალურ ვებგვერდზე აქვეყნებს თავისსავე წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის უმაღლესი განათლება და ამასთან, აუცილებლად არ მიიჩნევს, რომ მომავალ კანონს ყველა მსურველი ადვილად გაეცნოს. დაინტერესებული რიგითი მოქალაქისათვის, კანონპროექტის „ხელში ჩაგდება“ ერთობ პრობლემატურია. ფართო საზოგადოება სათანადოდ არ იცნობს იმ დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც ახლო მომავალში მისი შვილები უნდა გაანათლონ. სამინისტროს ხელმძღვანელობა უნივერსიტეტის პროფესურასთან უშუალო კონტაქტში არ შემოდის: როგორც იტყვიან, თვითონ მღერის და თვითონ ცეკვავს.

პირველი, რაც ამ დოკუმენტის წაკითხვისას თვალში გეცემათ, ის გახლავთ, რომ „კანონპროექტი“ აშკარად გადმოთარგმნილია ინგლისურენოვანი დედნიდან, ან უფრო – დედნებიდან. ამას მოწმობს როგორც დოკუმენტის საერთო „უცხოური“ ჟღერადობა, ასევე მისი ტერმინოლოგია, მრავალი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო „ნასესხები“ დეტალი, რომელთა დედანიც ამერიკული უნივერსიტეტების ინტერნეტ-საიტებზე მოიძებნება. ასე მაგალითად, უნივერსიტეტის ლექტორი აქ „ასისტენტ-პროფესორია“, დოცენტი – პირობითად, „ასოცირებული პროფესორია“, ხოლო საკუთრივ პროფესორი – (თუმც მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ცვლილებებით) მადლობა ღმერთს, ისევ პროფესორია.

თავისთავად, ამერიკული კანონის „გადმოქართულება“, თუ ის ჩვენს რეალობას მოერგება და თანამედროვე სულისკვეთებას გამოხატავს, იქნებ მხარდასაჭერიც იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ წარმოდგენილ „კანონპროექტს“ უმაღლესი განათლების შესახებ, ამერიკულ კანონმდებლობასთან არაფერი საერთო არა აქვს. ამას ცხადყოფს თუნდაც კორნელის უნივერსიტეტის (Cornell University) ვებგვერდზე გამოქვეყნებული აშშ განათლების კანონთა კრებული (http://www.law.-cornell.edu/topics/education.html), რომელიც ვეჭვობ, რომ „პროექტის“ ავტორებს წაკითხული ჰქონდეთ. ესეც არ იყოს, წარმოუდგენელია, რომ რომელიმე ფედერალური კანონი ისე დაწვრილებით განსაზღვრავდეს უნივერსიტეტის სტრუქტურას, ისე ახდენდეს ყველა უნივერსიტეტის უნიფიცირებასა და ერთ თარგზე მორგებას, როგორც ეს „კანონპროექტშია“ შემოთავაზებული. ამერიკული კულტურის, მათ შორის, საკანონმდებლო კულტურის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპია diversity – მრავალფეროვნება, „მრავალგვარობა“ და არა უნიფიცირება და ერთგვაროვნება. „კანონპროექტი“ კი საქართველოს ყველა უნივერ-

სიტეტის ერთ ყაიდაზე მოწყობას გვთავაზობს. ამავე დროს, იქმნება მკაფიო შთაბეჭდილება, რომ მცირედი გამონაკლისით, მთელი კანონპროექტი, ფაქტობრივად, ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეხება, რაც თავისთავად კურიოზია.

ერთი სიტყვით, „კანონპროექტი" ამერიკული საკანონმდებლო აქტების თარგმანი კი არ არის (როგორც ეს მოსალოდნელი იყო), არამედ წარმოადგენს სხვადასხვა ამერიკული უნივერსიტეტების შინაგანაწესების, ე. წ. "Organization Chart"-ების არაადეკვატურ თარგმანთა კომპილაციას. ყოველი დიდი თუ მცირე ამერიკული უნივერსიტეტი, ჰარვარდითა და ბერკლით დაწყებული, საჯაროობისა და ტრანსპარენტობის მიზნით, თავის ვებგვერდზე თავისსავე შინაგანაწესს აქვეყნებს. ესაა უნივერსიტეტების წესდებები, რომლებსაც კანონის პრეტენზია არა აქვთ. სამწუხაროდ, ამ ვებგვერდებიდან „კანონპროექტის" თარგმნა-კომპილაცია შესრულებულია არაკომპეტენტურად, უცხო ენის ძალზე მწირი ცოდნით (ქართულზე არაფერს ვამბობ) და იმის გაურკვევლად, თუ საკუთრივ რა წერია დედანში. „კანონპროექტის" ქართულ ტექსტში ამას მოჰყვება ტერმინოლოგიური ქაოსი და სრული აზრობრივი გაურკვევლობა, რაც განსაკუთრებით საგრძნობია იმ ნაწილში, რომელიც უნივერსიტეტის სტრუქტურას ეხება.

ვისაც კი ოდესმე შეუღია თბილისის უნივერსიტეტის (ან საერთოდ, უნივერსიტეტის) კარი და ერთხელ მაინც წაუკითხავს ლექცია, კარგად იცის, რომ უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ბირთვი და საფუძველთა საფუძველი არის კათედრა. „უმაღლესი განათლების კანონპროექტში" კათედრა ნახსენებიც კი არსად არის, ერთადერთი შემთხვევის გარდა, სადაც ის ფრჩხილებშია მოხსენიებული (როგორც ჩანს, ავტორებს, კომპილაციის პროცესში, რომელიღაც პირველადი ტექსტიდან შემთხვევით „შემორჩათ"). სამაგიეროდ, მთელი ყურადღება გადატანილია ფაკულტეტზე, რომელიც განსაზღვრულია, როგორც „ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული", რომელიც „უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას" და „მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას".

აკადემიურ ხარისხს სტუდენტებს აქამდე სახელმწიფო საგამოცდო კომისია ანიჭებდა და არა ფაკულტეტი, რაც პირადად მე მართებულად მიმაჩნია. რაც შეეხება „კანონპროექტში" ფაკულტეტისათვის მიკუთვნებულ პირველ ორ ფუნქციას, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს კათედრის ფუნქციებია და არა ფაკულტეტისა. მთელ დოკუმენტში ფაკულტეტის შესახებ უხვად გაბნეული მსჯელობა, სადაც მას კათედრის ფუნქციები მიეწერება, გვაფიქრებინებს, რომ ავტორებს ტექსტების თარგმნისას კათედრა (ამერ. Department) ფაკულტეტში (ამერ. School, an College) შეეშალათ ან აერიათ, რაც, ცხადია, აზრობრივ გაუგებრობას იწვევს. არადა ავტორები კარგად რომ დაკვირვებოდნენ, ვთქვათ, სტენფორდის უნივერსიტეტის ვებგვერდს, შეამჩნევდნენ, რომ იქ ფაკულტეტები კათედრებად (Departments) იყოფა, ხოლო უნივერსიტეტი ფაკულტეტებისაგან (Schools) შედგება, რაც საკმაოდ მარტივი და ადვილად გასაგები სტრუქტურაა (http://www.stanford.edu/home/academics/schools.html). იგივე დაყოფა არსებობს ამერიკისა და მსოფლიოს თითქმის ყველა სხვა უნივერსიტეტში. ამასთან, სტუდენტთა პროფესიულ მომზადებას სწორედ კათედრები (Departments) უძღვებიან და არა ფაკულტეტები ან დეკანატები.

მეორე მხრივ, თუ ის აზრი, რომ უნივერსიტეტის ბირთვი ფაკულტეტია (და არა კათედრა) არაკომპეტენტური თარგმანის შედეგი კი არ არის, არამედ დოკუმენტის ავტორთა პირადი კანონშემოქმედებითი ენთუზიაზმის ნაყოფია, მაშინ, როგორც რომაელები ამბობდნენ, miserabile dictu –

> მოაზროვნეა ის, ვინც კრიტიკით უმეტეს სიტყვას არ იხმარს და მეტოქეს თავის სიმართლეს დაუმტკიცებს მხოლოდ არგუმენტებით და საბუთებით.
>
> აკაკი ბაქრაძე

მთლად უარესი და ძალზე საწუხარია.

„კანონპროექტში" მრავლადაა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები: მეცნიერებათა დოქტორი, ყველგან „აკადემიურ წოდებად" არის მოხსენიებული, რაც ქართულად აბსურდულად ჟღერს, რადგან დოქტორი სამეცნიერო ხარისხია და არა აკადემიური წოდება. აკადემიური ხარისხებია ბაკალავრი და მაგისტრი. რაც შეეხება პროფესორს, ის მოხსენიებულია „აკადემიურ თანამდებობად" მაშინ, როდესაც პროფესორი უპირველეს ყოვლისა სამეცნიერო-პედაგოგიური წოდებაა და შესაბამისად, სამეცნიერო-პედაგოგიური თანამდებობაც (Learned Title and Position). ტერმინოლოგიურ ქაოსს, აქ სიტყვა „აკადემიურის" სისტემატური არამიზნობრივი ხმარება იწვევს მაშინ, როდესაც არსებობს დამკვიდრებული ტერმინები: „სასწავლო", „პედაგოგიური", „სამეცნიერო-პედაგოგიური", „სამეცნიერო" და საკუთრივ – „აკადემიური". როგორც ჩანს, სიტყვა „აკადემიური" (Academic) ავტორებს ყველა ამ ტერმინის ზოგად შემცვლელად ესახებათ, რაც პრინციპულად არასწორია.

განცვიფრებას იწვევს ის, რომ „დამხმარე პერსონალის" ჩამონათვალში „კანონპროექტის" ავტორებს

უნივერსიტეტის მასწავლებელიც ჰყავთ მითითებული, თანაც, გაუგებარი თანამდებობის პირის, ე. წ. „ტექნიკოსის“ გვერდით. ეს „ტექნიკოსი“, რომელიც ქართულში არარსებული სიტყვაა, როგორც ჩანს, წარმოადგენს ინგლისური სიტყვის “Technician”-ის („ხელოსანი“) ტრანსლიტერაციას, რომელიც ავტორებს სიტყვის მნიშვნელობის გაურკვევლად, პირდაპირ გადმოუტანიათ. მაგრამ ჩვენ ყველანი, უნივერსიტეტის პროფესურა, მისი დოცენტები და ლექტორები პროფესორ-მასწავლებლებად ვართ ცნობილი ერთმანეთისთვისაც და ფართო საზოგადოებისთვისაც და „დამხმარე პერსონალის“ ჩამონათვალში, „ტექნიკოსის“ გვერდით ჩვენი მოხსენიება „კანონპროექტში“, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

მსგავსი აზრობრივი, სტილისტური და სხვა ლაფსუსები „კანონპროექტში“ იმდენია, რომ გამოგიტყდებით, არც კი ვიცი, რომელი ერთი გამოვყო, როგორც ტიპური. მაგალითისათვის, ერთგან (გვ.2) წერია, რომ „სწავლების თავისუფლება“, თურმე პროფესორის მიერ „ლექციაზე მისი აზრის გამოთქმის“ უფლებას გულისხმობს მაშინ, როდესაც აზრის გამოთქმის თავისუფლება ყველა ჩვენგანს (მათ შორის არაპროფესორებსაც) კონსტიტუციით გვაქვს გარანტირებული. რატომ ხდება პროფესორების „გამორჩევა“ მათთვის ისედაც გარანტირებული უფლებების თავიდან „გარანტირებით“, გაუგებარია. ამ პუნქტს ერთგვარი გაფრთხილების ელფერი დაჰკრავს: თავისუფლად თუ არ გამოთქვა პროფესორმა თავისი აზრი ლექციაზე, რისი უნდა ეშინოდეს, საინტერესოა. სხვაგან, „საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლების“ განსაზღვრებაში გამოთქმულია აზრი, რომ ესაა „კურსი, რომელიც აუცილებლად შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სასწავლო პროგრამებს“. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სანამ კაცი მეცნიერებათა დოქტორი არ გახდება, ის ვერ იტყვის, რომ მას უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ჩვენ კი უკვე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი გვეგონა უმაღლესში განათლებამიღებული.

ორიოდ სიტყვა უნივერსიტეტის ცენტრალურ მმართველ ორგანოებზე. ავტორებს წარმოუდგენიათ, რომ უნივერსიტეტი უნდა იმართებოდეს ორი უფლებამოსილი პირის – რექტორის (აკადემიური სფერო) და კანცლერის (ადმინისტრაციული სფერო) მიერ. შესაბამისად, უნდა იყოს ორი საბჭო (?!): აკადემიური საბჭო და სენატი. სენატს სათავეში უდგას კიდევ ერთი პირი – სპიკერი, რომლის ფუნქცია და საერთოდ, საჭიროება ძალზე ბუნდოვანია.

ამ პუნქტის მიუღებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უნივერსიტეტში ორხელისუფლებიანობასა და ფაქტობრივად, მმართველობით ქაოსს ამკვიდრებს. უნივერსიტეტი იმდენად რთული და ინტეგრირებული მექანიზმია, რომ უმაღლეს დონეზე მისი მართვა აკადემიური და ადმინისტრაციული ასპექტების სინთეზს გულისხმობს. წარმოუდგენელია რექტორი, რომელიც მხოლოდ „მაღალ მატერიებზე“ ფიქრით იქნება დაკავებული უკვე იმიტომ, რომ უნივერსიტეტი მრავალდარგობრივია და „პირწმინდად აკადემიური“ რექტორი, ერთდროულად ყველა დარგში, „აკადემიური“ ვერ იქნება. თუკი „აკადემიური დარგის“ რექტორად სასწავლო დარგის პრორექტორი მოიაზრება, მაშინ გაურკვეველია, რა უნდა აკეთოს მან ადმინისტრაციული ფუნქციის გარეშე. ზუსტად ასევე წარმოუდგენელია „წმინდად ადმინისტრაციული“ თანამდებობა კანცლერისა, რომელსაც შეუძლია პროფესორ-მასწავლებელთა „ადმინისტრირება“ „ისე, რომ შესაძლოა წარმოდგენა არც ჰქონდეს მათ აკადემიურ და სამეცნიერო დონეზე ან სასწავლო პროცესზე მთლიანად. კანცლერი შეიძლება იყოს უნივერსიტეტისათვის შემთხვევითი პირიც: ვთქვათ, რომელიმე დარგის მენეჯერი (რატომაც არა?), რომელიც შეითავსებს დღევანდელი რექტორის ადმინისტრაციულ ფუნქციებს და კომუნისტების დროინდელი „ზავხოზის“ მოვალეობებს. ამგვარი თანამდებობის არსებობა, თუ მას ამავე დროს არ დაეკისრა აკადემიური ფუნქციებიც, უნივერსიტეტის მმართველ აპარატში უადგილოდ მიმაჩნია. ამასთან, „კანონპროექტის“ თანახმად, თუ „აკადემიური საბჭო“ მსჯელობს და დადგენილებები გამოაქვს აკადემიურ სფეროში, მაშინ „სენატს“ დადგენილებები გამოაქვს ადმინისტრაციული განხრით, რაც პრაქტიკულად განუხორციელებელია უკვე იმიტომ, რომ აკადემიზმი და ადმინისტრაცია, უმაღლეს სასწავლებელში მართვის დონეზე ერთმანეთისაგან განუყოფელი და ხშირად – ერთი და იგივეა.

ზოგ ამერიკულ უნივერსიტეტში, რომელთა ვებსაიტების არასწორი გაგება ამ პუნქტშიც იგრძნობა, პროვოსტი (იგივე კანონპროექტის „კანცლერი“) არსებითად ადმინისტრაციული დარგის პრორექტორია, ანუ უნივერსიტეტის რე-

საკვირველია!.. რაც უნდა უმეცარი,
უმსგავსო, ხულიგნობით აღსავსე საქმე
იყოს, ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე
ისე, რომ ყურსაც არავის შეაბერტყუნებს.
არც მის მომქმედს აქვს შიში, მოდა ღერთ
და მომკითხავის ფიქრი, არც მის
მაყურებელს სირცხვილი...
ილია

ლური მმართველის – პრეზიდენტის დაქვემდებარებული პირი (State University System, იხ. მაგ., http://www.sjsu.edu/faculty-and-staff/). სხვა უნივერსიტეტებში (მაგ. UC Sysytem) „კანცლერი“ ჰქვია რექტორს და დაქვემდებარებაში ჰყავს ვიცე-კანცლერები (ანუ პრორექტორები (იხ. მაგ., http://-www.berkeley.edu/administration/). არის სხვა სქემებიც. საერთოდ, ამერიკული სისტემა უსაზღვროდ მრავალფეროვანია, მაგრამ საუნივერსიტეტო მმართველობის მკვეთრი დაყოფა „რექტორისა“ და „კანცლერის“ ორ თანასწორუფლებიან ოფისად არსად არ გვხვდება. ამიტომ, თუ „კანონპროექტი“ გავიდა, უნივერსიტეტს უკეთეს შემთხვევაში ეყოლება ორი პრორექტორი – „რექტორი“ (პრორექტორი სასწავლო დარგში) + „კანცლერი“ (პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში), ხოლო საკუთრივ რექტორის თანამდებობა თავისუფალი დარჩება. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ დოკუმენტის რამდენიმე მუხლის თანახმად, უნივერსიტეტში უმაღლეს ძალაუფლებას განათლების მინისტრი განახორციელებს (ითხოვს საბჭოს და სენატს, უწყვეტს უფლებამოსილებას რექტორს, კანცლერს და ა. შ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონპროექტის გასვლის შემთხვევაში ბატონი მინისტრი უნივერსიტეტის რეალური რექტორის თანამდებობას შეითავსებს და ამით ორხელისუფლებიანობასაც ბოლო მოეღება. მეორე მხრივ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ უკვე მხოლოდ თბილისში რამდენიმე უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, განათლების მინისტრი კი ერთი გვყავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამგვარი შეთავსებები ძალიან გართულდება და ეს მუხლიც საფუძვლიან გადახედვას მოითხოვს.

კიდევ ერთი და ბოლო პუნქტი, რომელზედაც მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ, ეხება უნივერსიტეტში 2-წლიანი „გარდამავალი პერიოდის“ შემოღებას, რომლის განმავლობაშიც, „კანონპროექტის“ თანახმად, უნდა გადადგეს რექტორი და დეკანები (არაფერია ნათქვამი პრორექტორებზე. გამორჩათ?), რომელთაც აღარ შერჩებათ ხელახალი კენჭისყრის უფლება და ა.შ.

პუნქტი უცნაურია რამდენიმე მიზეზის გამო და შესაბამისად, სერიოზულ კითხვებს წარმოშობს:

1). რას ნიშნავს დროებითი 2-წლიანი მმართველი? „კანონპროექტში“ არ არის განსაზღვრული მისი სამეცნიერო და აკადემიური რწმუნებები. იქნება ეს მეცნიერი და პედაგოგი თუ შემთხვევით შერჩეული პირი, რომელსაც უმაღლეს განათლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს? თუ ეს შემთხვევითი პირი იქნა, რა ხეირს მოუტანს მისი დანიშვნა საუნივერსიტეტო განათლების რეფორმას?

2). იმ შემთხვევაში, თუ ოთხვიანი დებატების შემდეგ, არსებული წესდების მიხედვით, დიდი საბჭო აირჩევს უნივერსიტეტის რექტორს, შემდეგ კი „კანონპროექტი“ გავა, ახლად არჩეული რექტორი უნდა გადადგეს თუ არა? და თუ უნდა გადადგეს, რა აზრი აქვს მაშინ ასეთ არჩევნებს?

3). მოხდება თუ არა რექტორის გადადგომა იმ შემთხვევაშიც კი, თუ რექტორად ავირჩევთ საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეკომენდებულ პირს? ხომ არ ეწინააღმდეგება „კანონპროექტი“ ბატონი პრეზიდენტის უნივერსიტეტში ამასწინანდელი გამოსვლის საერთო სულისკვეთებას? და ბოლოს,

4). ვინაიდან „კანონპროექტი“ მაინც უმაღლესი განათლების კანონპროექტია და არა ადმინისტრაციულ-სადამსჯელო კოდექსი, რამდენად მიზანშეწონილია მასში ამგვარი მუხლების შეტანა? უშუალოდ ვინ უნდა განახორციელოს „სადამსჯელო“ ოპერაცია და სტრუქტურული რეორგანიზაცია, 2 წლის ვადით დანიშნულმა „კომისარმა“?

„კანონპროექტის“ მიმართ სხვა, უფრო მასშტაბური და ვრცლად არგუმენტირებული შენიშვნები ახლახან გამოცემულ საუნივერსტეტო ბროშურაშია თავმოყრილი, რომელიც უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ნამდვილად არ არის და ყველა მსურველისათვის ადვილად ხელმისაწვდომია. მე, როგორც უნივერსიტეტის

> გვყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსა და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენი ვქირვებისა, გულისტკივილისა და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ.
>
> ილია

თანამშრომელმა, უბრალოდ, მკითხველს ჩემი პირადი მოსაზრება გავუზიარე: ის, რაც ვთქვი, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმ აზრობრივი და ლოგიკური „მარგალიტებისა“, რომლებიც წარმოდგენილ კანონპროექტში უხვად მოიპოვება.

ცხადია, უმაღლესი განათლების რეფორმა საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ეტაპზე აუცილებელი, გარდაუვალი და მისასალმებელია. მაგრამ იყო კი უნივერსიტეტის ისტორიაში პერიოდი, როდესაც მასში რეფორმა არ მიმდინარეობდა? საუნივერსიტეტო ცხოვრება ერთი და იგივე არასდროს არ არის და დღითი დღე ცვალებადია: ესაა მშვიდი და ბუნებრივი, სტაბილური პროცესი, რომელიც ყოველგვარი კავალერიული იერიშებისა და ხმლების ქნევის გარეშე მიმდინარეობს: რეფორმა ობიექტური პროცესია. საერთოდ, მთელ მსოფლიოში, საუნივერსიტეტო განათლება ერთდროულად ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიული და ამავე დროს, მუდმივად რეფორმირებადი დარგია, რომელიც უხეშ (მით უმეტეს – არაკომპეტენტურ) ქირურგიულ ჩარევებს ვერ იტანს.

ვფიქრობთ, ბატონი თ. კობახიძის წერილში საკმაოდ არგუმენტირებულად და პროფესიონალურად არის საკითხი განხილული. დასკვნები დამაჯერებელია... მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენთვის... ასე არ ფიქრობენ „რეფორმატორები"; კერძოდ, რეფორმის ერთ-ერთი თავკაცი გ. თევზაძე. მან საპასუხო წერილი გამოაქვეყნა „24 საათში". სიმართლე გითხრათ, იშვიათად მინახავს ასეთი არალოგიკური, არაპროფესიონალური პასუხი. უამრავი კითხვა ჩნდება, როცა „რეფორმატორები" თავს იცავენ:

ნუთუ

ვართ „იქით ნაპირზე, ვისაც შენიშვნები გვაქვს კანონპროექტის მიმართ (გ. თევზაძის წერილის სათაურია – „...იქით ნაპირზე კიდევ გამოჩნდნენ...")?

თვლიან, რომ ჩვენ ვებრძვით და არა ვთანამშრომლობთ მათთან (ციტატა: „მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ, როდესაც კარგად და ცხადად გვეცოდინება, ვინ გვებრძვის და სად უნდა ვიბრძოლოთ")?

არის ანონიმური ის ბუკლეტი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწერია?

ვითვლებით კანონპროექტის დახვეწის (გაუკეთესების) მსურველები „წინააღმდეგობის ფრონტის" კომისრებად?

ცდილობენ ოპონენტის დისკრედიტაციას (ძირითადად ცილისწამების გზით) და არა არგუმენტირებულ მსჯელობას კანონპროექტის სადავო მუხლებზე?..

ამგვარი შეკითხვა მრავლადაა, მაგრამ, სამწუხაროდ, „რეფორმატორებს" ეს არ აინტერესებთ... მათ რეფორმა არ აინტერესებთ; მათი მიზანი განათლების სისტემის მოშლაა... გ. თევზაძის ამ პასუხმა ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, მაგრამ ამჯერად იმით დავკმაყოფილდებით, რომ რამდენიმე ამონაწერს გადმოვბეჭდავთ ამ წერილიდან „საჭაშნიკოდ":

*„როგორც იქნა, უმაღლესი განათლების რეფორმაზე აზრი გამოთქვა იმ პიროვნებამ, რომელიც მომხრეების თუ მოწინააღმდეგეების თვალში აღიქმება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული მმართველობის ოფიციალური თუ არაოფიციალური სისტემის შემქმნელად: მე ვგულისხმობ ბ-ნ თემურ კობახიძეს, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანია, ამავე დროს, ძალიან ხშირად – ინგლისურ ენაში მისაღები კომისიის თავმჯდომარე და, ამავე დროს, დეკანობიდან და თავმჯდომარეობიდან თავისუფალ დროს, როგორც ამბობენ, ძალიან ბევრ აბიტურიენტს ამზადებს.*

*ჩემთვის ამ სამი პოზიციის შეთავსება კორუფციაზე მიმანიშნებელია. თუკი ვინმე შემედავება, რომ ჯერ ქრთამის აღება უნდა დაუმტკიცო ადამიანს და მერე დააბრალო, ვეტყვი, რომ მე სულაც არ ვაბრალებ ბატონ კობახიძეს ქრთამის აღებას, არამედ – კორუფციული სისტემის სათავეში ყოფნას – სისტემის, რომლის ძირითადი მახასიათებელი ინტერესთა კონფლიქტი და გაუმჭვირვალობაა.*

*ამ ფაკულტეტის ზოგიერთ წარმომადგენელზე – მისაღები კომისიის წევრზე – იმასაც კი ამბობენ, რომ ხშირად აბიტურიენტები მათთან ემზადებიან, როგორც კომისიის წევრებთან, ხოლო „რეალურად" – უცხო ენას სხვასთან სწავლობენ. თუმცა, მე ეს უფრო ანეკდოტად მიმაჩნია.*

*„მაგრამ, როგორ პიროვნებასთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, ყველას აქვს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი, და მეტიც – მიიღოს პასუხი ამ გამოთქმულ აზრზე. თანაც, მე ამას განსაკუთრებული სიხარულით გავაკეთებ, თუნდაც იმიტომ, რომ როგორც იქნა, ოპონენტმა კონკრეტული პარამეტრები მიიღო".*

*„ხშირია შენიშვნები, არა მარტო ბატონი კობახიძის მხრიდან, რომ უნივერსიტეტი ისეთი ფენომენია, რომ მასზე ხელისუფლების დანაწილების, ურთიერთკონტროლისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმები არ უნდა გავრცელდეს. ეს არგუმენტი არასერიოზულია. შესაძლებელია, ჩვენ მიერ შემოთავაზებული მართვის სისტემა ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში რთულად ეჩვენებათ, მაგრამ, ჩვენთვის, ავტორიტარიზმთან დაბრუნების მოწოდების გარდა, არც ერთი ყურადსაღები ალტერნატიული სისტემა არ შემოუთავაზებიათ".*

*„რაც შეეხება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელშიც, როგორც ბატონი კობახიძე ამბობს, თურმე რეფორმა მთელი მისი ისტორიის განმავლობაში მიმდინარეობს და ყველაფერი კარგადაა: ეს ის უნივერსიტეტია, საიდანაც გააგდეს ივანე ჯავახიშვილი; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც ლექტორები პირდაპირ თუ არაპირდაპირ სტუდენტებსა და აბიტურიენტებს ფულს სძალავენ; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სტუდენტების ერთმანეთისათვის დაპირისპირება მმართველობით ნორმად ითვლება; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სწავლების ხარისხი კორუფციის ზრდის პროპორციულად ეცემა".*

და კიდევ იოსებ ჭუმბურიძის საპასუხო წერილს შემოგთავაზებთ, რომელიც გაზეთ „თბილისში" გამოქვეყნდა. ჩვენ სრულად ვეთანხმებით ბატონი ი. ჭუმბურიძის პათოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ჭუმბურიძე

# ეს ის უნივერსიტეტია...

უმაღლესი განათლების რეფორმის პრინციპებს და „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“ ბევრი ოპონენტი ჰყავს. არაერთ გაზეთში შეხვდებით მათს საფუძვლიან, დასაბუთებულ კრიტიკას. საპასუხო წერილები კი მხოლოდ „24 საათში“ იბეჭდება. მათი ავტორი ან გიგი თევზაძეა ან ნინო ცინცაძე. პირველი სარეფორმო კანონპროექტების ერთ-ერთი მთავარი „შემოქმედია“, მეორე კი – მისი მეორე ნახევარი (ამბობენ, ამ გაზეთის ერთი გვერდი პრივატიზებული აქვთო).

დღეს პირველ ნახევარზე შევჩერდებით.

ერთი რამ ცხადად შევნიშნეთ ბატონი გიგი თევზაძის ქცევაში: უპასუხოდ ტოვებს ისეთ ავტორთა საფუძვლიან კრიტიკას, ვისი მეცნიერული ავტორიტეტიც და პიროვნული იმიჯიც ერთნაირად მაღალია.

საკმარისია, გამოჩნდეს ოპონენტი, რომელსაც შეიძლება რაიმე წამოაძახო, რომ სიხარულს ვერ დამალავს და უმალ შეპასუხება, აი, შე ასეთო და ისეთო, როგორ ბედავ და რეფორმას ეწინააღმდეგებიო?!

არაერთი მწვავე წერილი გამოაქვეყნა ბატონმა გიორგი გოგოლაშვილმა, საჯარო გამოსვლაშიც არაერთხელ გამოხატა თავისი მკვეთრად კრიტიკული აზრი, მაგრამ ბატონ გიგი თევზაძეს მასთან შეპაექრების სურვილი არ გასჩენია (რა უნდა ეთქვა?!), აი, ბატონ თემურ კობახიძეს კი დაუყოვნებლივ უპასუხა („24 საათი“, 27 ოქტომბერი).

და რა წამოაძახა? – თურმე, ის „აღიქმება უნივერსიტეტში არსებული მმართველობის ოფიციალური თუ არაოფიციალური სისტემის შემქმნელად“.

აფერუმ ბატონ თემურს! – თუ ის და მხოლოდ ის ბრძანდება ამ „სისტემის“ შემქმნელი. ერთ-ერთ შემქმნელად მაინც გამოეცხადებინათ!

ბატონი თევზაძე ოპონენტს კორუფციული სისტემის სათავეში მყოფს კი უწოდებს, მაგრამ თავს მაინც იზღვევს – ქრთამის აღებას არ ვაბრალებო.

ეს ადვილად გასაგები სიფრთხილეა (შიში რომ არ ვთქვათ): ხომ შეიძლება, ოპონენტმა ცილისწამებისთვის უჩივლოს?

აი, უნივერსიტეტი კი ვერ გიჩივლებს – თუ იკადრებ, რამდენიც გინდა, ლანძღე!

გიგი თევზაძე ასეც იქცევა.

ბევრი რამ წამიკითხავს და მომისმენია ჩვენს ალმამატერზე, მაგრამ არ მახსენდება, რომ ასეთი „დაგემოვნებით“ ოდესმე ვინმეს გაელანძღოს. როცა ამ ლანძღვას წაიკითხავ, რეფორმაც დაგავიწყდება, კობახიძეც, კორუფციაც და, შეიძლება, კომუნისტებიც კი გაამართლო – გენეტიკას რომ უარყოფდნენ!

მოვუსმინოთ გიგი თევზაძეს:

„ეს ის უნივერსიტეტია, საიდანაც გააგდეს ივანე ჯავახიშვილი; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც ლექტორები პირდაპირ თუ არაპირდაპირ სტუდენტებს და აბიტურიენტებს ფულს სძალავენ; ეს ის უნივერსიტეტია, სადაც სტუდენტების ერთმანეთისათვის დაპირისპირება მმართველობით ნორმად ითვლება“ (სტილი, ორთოგრაფიითურთ, დაცულია – ი. ჭ.).

ამას წერს უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორი, ვისი დედაც და მამაც ასევე უნივერსიტეტის პროფესორები არიან!

არადა, მან ხომ შესანიშნავად იცის ის, რასაც ახლა „შებრუნებით“ ვეტყვი:

ეს ის უნივერსიტეტია, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა დააარსა;

ეს ის უნივერსიტეტია, სადაც, ივანე ჯავახიშვილთან ერთად, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ კიკნაძე... მოღვაწეობდნენ;

ეს ის უნივერსიტეტია



2.3448
საქ. პარლ. ეროვნ. ბიბლიოთეკა

სადაც დღეს ჯუმბერ ჭუმბურიძე, ნოდარ ტაბიძე, გურამ თევზაძე, თემურ ქიქიაშვილი, ლაზარე ზამბახიძე, გიორგი გოგოლაშვილი... მოღვაწეობენ.

ნუთუ ის რომ ბოლშევიკური რეჟიმი ივანე ჯავახიშვილს და სხვა მამულიშვილებს სდევნიდა, უნივერსიტეტის ბრალია?!

...რამდენიმე წლის წინანდელი კურიოზი მახსენდება: ცნობილმა მსახიობმა ქართველი წმინდანები შეურაცხყო. ქეთევან წამებულის საზოგადოებამ სასამართლოში უჩივლა. გამოვიდა ცნობილი ადვოკატი და თქვა, მსახიობს ვერ დავსჯით, რადგან... დაზარალებული ფიზიკურად არ არსებობსო - თამარ მეფესა და ქეთევან დედოფალს პროცესზე ხომ ვერ მიიყვანდნენ?!

სასამართლო პროცესზე ვერც უნივერსიტეტი მივა.

თუმცა, ჩივილსაც არავინ აპირებს.

ჩივილით მხოლოდ ერთი რამ უნდა დავიჩივლოთ: ცოდოა უნივერსიტეტი და, საერთოდ, ჩვენი განათლება, ასეთი „რეფორმატორების“ ხელში!

**მინაწერი**: დღეს, ბევრს მოაქვს თავი უცხო ენების ცოდნით. როცა მათს ნაჩრევს, ქართულად დაწერილს, ეცნობი, დიდი ეჭვი გიჩნდება, რომ უცხო ენა კარგად ეცოდინებათ. უხეირო ქართულის ერთი მაგალითი უკვე მოვიხმეთ. მეორესაც აქვე გაგაცნობთ: „ის, რაც ხდება თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, მათი პასუხისმგებლობაცაა“. ქართულად რომ ასე წერენ, ადვილი წარმოსადგენია, როგორ თარგმნიან კანონპროექტებს ინგლისურიდან. არადა, თარგმნიან!..

„თბილისი“



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფი. 1925 წ.

# ორივე ფეხით ევროპაში

**ყველაფერი 1988 წელს, ბოლონიის უნივერსიტეტის 900 წლისთავის პერიოდში დაიწყო, სორბონაში გაგრძელდა და 1999 წელს, ისევ ბოლონიაში, დეკლარაციის მიღებით დასრულდა. ამ დეკლარაციას 29 ქვეყნის განათლების მინისტრებმა მოაწერეს ხელი. ასე დაიწყო პროცესი, რომელსაც დღესდღეობით, ბოლონიურს უწოდებენ. თუ რას გულისხმობს ეს პროცესი, რატომ არის ის მნიშვნელოვანი და რით ეწინააღმდეგება მას ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების ახალი კანონპროექტი – ამ და კიდევ სხვა საინტერესო საკითხებზე, გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ქალბატონი ლიკა ღლონტი**

– ბოლონიის დეკლარაციაში, – ამბობს ქალბატონი ლიკა – ლაპარაკია იმაზე, რომ ევროპაში შეიქმნას ერთიანი სივრცე უმაღლესი განათლების სფეროში. განათლება დღესდღეობით პოლიტიკური, ეკონომიკური საკითხიც არის. აქამდე არსებობდა ე. წ. ლისაბონის კონვენცია, რომლის მიხედვითაც, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში გაცემული დიპლომი ევროპისავე სხვა ქვეყანაში უნდა ცნონ. ბოლონიის დეკლარაციის თანახმად კი, უნდა გამარტივდეს არა უკვე დიპლომირებული სპეციალისტების მოძრაობა, არამედ სტუდენტების გადაადგილება. მაგალითად, სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ მიუნჰენში ორი კურსის დახურვის შემდეგ სწავლა გააგრძელოს, ვთქვათ, პარიზში და დაასრულოს, ვთქვათ, ბარსელონაში...

**– განათლების პოლიტიკურ-ეკონომიკურ მომენტებში რას გულისხმობდით?**

– საქმე ის არის, რომ ამერიკის უნივერსიტეტები სერიოზულ კონკურენციას უწევენ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს. ეს ნებისმიერ მაჩვენებელზე აისახება. ევროპა, ამ თვალსაზრისით, პოლიტალური გავლენის სფეროს კარგავს, რადგან, მაგალითად, „მესამე სამყაროს" ქვეყნების სტუდენტები განათლების მისაღებად ევროპაში კი არა, ამერიკაში მიდიან. უმაღლესმა განათლებამ საექსპორტო განზომილება მიიღო და ამ ექსპორტს თან მოსდევს ბევრი სხვა ღირებულებაც. ცხადია, აქ, პოლიტიკურ-ეკონომიკური მომენტებიც იგულისხმება.

**– რა არის ბოლონიის დეკლარაციის ძირითადი მოთხოვნები და რამდენად შეესაბამება ამ მოთხოვნებს განათლების ის ახალი კანონპროექტი, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში აზრთა ასეთი დიდი შეხლა-შემოხლა მოჰყვა?**

– დეკლარაციაში არის ექვსი ძირითადი პუნქტი:

გამარტივებული და შედარებითი ხარისხების სისტემის დანერგვა, ანუ ერთი ქვეყნის მიერ გაცემული ხარისხი (ბაკალავრის, მაგისტრის, ა. შ.) მისაღები იყოს სხვა ქვეყანაშიც;

უმაღლესი განათლების ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა; ნასწავლი მასალის შეფასების, უფრო სწორად, გაზომვის ერთეულების, კრედიტების შემოღება;

სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილურობისათვის ხელშეწყობა;

ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში ევროპული კორპორაციის დანერგვა – ეს გულისხმობს, რომ ხარისხის გასაუმჯობესებლად ევროპული თანამშრომლობაა საჭირო; დაბოლოს, მეტად საინტერესო მუხლი: უმაღლეს განათლებაში ევროპული განზომილების შემოტანა. ეს ძალზე ზოგადი ფრაზაა, მაგრამ კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებს გულისხმობს.

**– რელიგიურსაც?**

– სიტყვა რელიგია ნახსენები არსად არ არის. ყოველ შემთხვევაში, მე რაც ლიტერატურა წამიკითხავს, არ შემხვედრია, თუმცაღა, როცა მაგალითად, თურქეთის ევროკავშირში შესვლა განიხილებოდა, რელიგიის საკითხი ძალზე მკაფიოდ წამოიჭრა: ითქვა, რომ ეს არის ევროპის კავშირი, ქრისტიანული კულტურის ცენტრი და მუსულმანურ თურქეთს იქ არაფერი ესაქმება. საერთოდ, ეს საკითხი ევროპაში იმდენად მოწესრიგებულია, რომ არა მგონია, ამ დოკუმენტებში რელიგიური ექსპანსია რაიმე ფორმით ჩადებული იყოს...

**– როგორც მიგიხვდით, მხარს უჭერთ ამ პროცესს და მომხრე იქნებოდით, საქართველოც ამ გზით წასულიყო...**

– ვფიქრობ, ეს ყველაფერი, ნამდვილად, მისაღებია ჩვენთვის. თუკი გავხდით „მაშასადამე, ევროპელები", ცხადია, უნდა ვეცადოთ, ჩვენი განათლების სისტემა ევროპულ სივრცეს მივუსადაგოთ. ბოლონიის დეკლარაციას მიღების შემდეგ, მომდევნო ხუთ წელიწადში, კიდევ ათი ქვეყანა მიუერთდა. ჩვენ ჯერ არ მოგვიწერია ხელი. საქმე ის არის, რომ, თუკი საწყის ეტაპზე ამ პროცესში ჩართვა იოლი იყო, დღესდღეობით უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული მოთხოვნები. კრიტერიუმები შეიქმნა იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებსაც ხელი აქვთ მოწერილი დეკლარაციაზე. მათ ეკითხებიან და სთხოვენ ანგარიშს, რა გააკეთეს საიმისოდ, რომ პროცესი დაიძრას. იცვლება თუ არა კანონმდებლობა... რამდენადაც ვიცი, განაცხადი ჩვენც გაგზავნილი გვაქვს და ის, თუ არ ვცდები, გაისად უნდა განიხილონ. თუმცა, **ჩვენს კანონპროექტში არის ისეთი ძირითადი პრაქტიკული საკითხები, რითაც ვეწინააღმდეგებით ბოლონიის დეკლარაციას** და განხილვის შემთხვევაში, აუცილებლად კრიტიკას დავიმსახურებთ.

**– კონკრეტულად, რა საკითხებს გულისხმობთ?**

– მთავარი და ძირითადი უნივერსიტეტების მართვა და მათი ავტონომიის შეზღუდვაა. ამ საკითხს ბოლონიის დეკლარაციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი. ამ დებულების მიხედვით უნივერსიტეტი, ევროპულ განათლების სისტემაში, სრულიად დამოუკიდებელი ერთეულია. ჩვენი კანონპროექტით კი ეს ავტონომია, მსუბუქად რომ ვთქვათ, შეზღუდულია...

**– რით გამოიხატება ეს შეზღუდვები და რა მოტივაცია აქვთ საამისოდ ჩვენი განათლების სისტემის რეფორმატორებს?**

– საქმე ის არის, რომ ამ ახალი კანონპროექტით უნივერსიტეტის დებულებაც და წესდებაც სამინისტრომ უნდა დაამტკიცოს. ყველა არჩევითი სტრუქტურა (აკადემიური საბჭო, სენატი, თვით რექტორი!) შეიძლება მინისტრის ერთპიროვნული განკარგულებით გაუქმდეს. სამინისტროს პრეროგატივებში გადადის განათლების ხარისხის კონტროლიც..; ასე რომ, პრაქტიკულად, უნივერსიტეტი მთლიანად, სამინისტროს კონტროლქვეშ ექცევა.

რაც შეეხება მოტივაციას... რეფორმატორთა მთავარი არგუმენტი არის ის, რომ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი, დღესდღეობით, სავალალო მდგომარეობაშია. აქ საუბარია არა მხოლოდ კორუფციაზე, მთლიანად მოშლილია სასწავლო პროცესი, ვერ არეგულირებენ შიდა საკითხებს... ჩანს, სამინისტროს აქვს იმის ილუზია, რომ ის უკეთ შეძლებს ამ სისტემის კრიზისიდან გამოყვანას, ყოველ შემთხვევაში, ამ გარდამავალ ეტაპზე მაინც. მაგრამ, კიდეც რომ ვიზიარებდე სამინისტროს ამ მოტივაციას, ვფიქრობ, ეს ძალზე დიდი რისკია მათი მხრიდან – განათლების სამინისტრო ძალზე დიდ პასუხისმგებლობას კისრულობს. დღესდღეობით, საქართველოში 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელია, თავისი 18 ფილიალით. მათი კონტროლი, მხოლოდ და მხოლოდ, გარედან მოსული დროებითი ერთპიროვნული მმართველის დანიშვნით, ყოველგვარი აკადემიური საბჭოს ან სხვა რომელიმე არჩევითი ორგანოს არსებობის გარეშე წარმოუდგენელი მეჩვენება!

**– უმაღლესი განათლების სფეროში სახარბიელო მდგომარეობა, მართლაც რომ არ გვაქვს, ეს არ ახალია... თქვენ როგორ გესახებათ გამოსავალი ამ სავალალო სიტუაციიდან?**

– თავის დროზე, მე ვიყავი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის კონსულტანტი განათლების საკითხებში, ვმონაწილეობდი იმ კონცეფციის შემუშავებაში, რომელსაც ერქვა „საქართველოს უმაღლესი განათლების განვითარების ძირითადი მიმართულებები". ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი იმაზე, რომ უნივერსიტეტებს კი მიეცემოდათ სრული ავტონომია, მაგრამ შეიცვლებოდა დაფინანსების სისტემა. ფული გაჰყვებოდა სტუდენტს. ის სტუდენტი კი არ მოვიდოდა შენს უნივერსიტეტში, თუ ამ უმაღლესი სასწავლებლის საგანმანათლებლო დონე არ იქნებოდა მაღალკვალიფიციური და პროფესიონალური. გარდა ამისა, შემოგვქონდა ხარისხის კონტროლის ძლიერი სისტემა და, შესაბამისად, ეს ყველაფერი სახელმწიფო უმაღლეს სკოლას აქცევდა ძალზე მკაცრ ჩარჩოებში, უწინარესად, დაფინანსების საშუალებით. ეს თამაშის ისეთი წესია, რომელიც, ვფიქრობთ, კარგად დაარეგულირებდა პროცესს. ამავე დროს, ავტონომიურობის მუხლით არ ეწინააღმდეგება ბოლონიის დეკლარაციას და, რაც მთავარია, ის გამაღიზიანებელი ფაქტორები განათლების სამინისტროს ჩარევისა და უნივერსიტეტების მართვის სფეროში მთლიანად მოიხსნებოდა. მაგრამ ახალი სამინისტრო თამაშის ახლებურ წესებს გვთავაზობს დაჟინებით. ცუდია, რომ საჯარო განხილვები არ იმართება. ერთადერთი ასეთი განხილვა ახლახან კონარდ ადენაუერის ფონდის ძალისხმევით „მარიოტში" გაიმართა. ესწრებოდნენ განათლების სამინისტროს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ამ დარგის სპეციალისტები... შეკრებაზე ჩვენი შენიშვნები ყველამ გამოვთქვით. სამინისტროს წარმომადგენლები გარკვეული საკითხების გათვალისწინებას შეგვპირდნენ, მაგრამ, ძირითადი მომენტები, მათ შორის უნივერსიტეტების ავტონომიისაც, როგორც გვითხრეს, კანონპროექტში უცვლელი რჩება...

**– საზოგადოებაში ძალზე დიდი ხმაური მოჰყვა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებებსაც...**

– ამ საკითხებში კომპეტენტური არ ვარ და ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ბოლონიის დეკლარაციის მსგავსი დოკუმენტი, რომელიც ევროპის ქვეყნებს აიძულებს უნიფიცირებული საშუალო განათლება ჰქონდეთ, არ არსებობს. საერთოდ, ვფიქრობ, რომ კანონპროექტში შესაძლოა, ბევრი კარგი რამ ეწეროს, მაგრამ განხორციელებადი არ იყოს. ევროპაში არ არის ერთი უნივერსალური საშუალო განათლების სისტემა. ქვეყნის შიგნითაც კი სხვადასხვა სტანდარტები მოქმედებს. საერთოდ, სასკოლო განათლება ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია, რადგან აქ ეროვნული მომენტები უფრო წინ არის (უნდა იყოს!) წამოწეული...

**– დაბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის ბოლონიის პროცესში გაერთიანებას?**

– იცით, ბოლონიის პროცესი დრომ მოიტანა. რომ არ შექმნილიყო ევროკავშირი, არც ბოლონიის პროცესი იარსებებდა. თუკი ვქმნი ერთიან ევროპულ სივრცეს, შემომაქვს ერთიანი ვალუტა, არ მაქვს საზღვრები... მაშინ, რატომ არ უნდა მქონდეს უფლება, ვისწავლო იქ, სადაც მომინდება? იცით, საერთაშორისო საგანმანათლებლო ასპარეზზე საქართველო არ არის ისეთი კონკურენტუნარიანი მოთამაშე, როგორც, ვთქვათ, დიდი ბრიტანეთი, ამერიკა. მაგრამ ჩვენ გვაქვს ლოკალური პრობლემა – სტუდენტებს ვკარგავთ. ისინი უკეთესი განათლების მისაღებად უცხოეთში გარბიან და უკან აღარ გვიბრუნდებიან. ესეც დრომ მოიტანა. განათლება პოლიტიკურ საკითხად იქცა და თუ ჩვენ გეზი ევროპისაკენ ავიღეთ, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და ორივე ფეხით წავიდეთ იქით, რადგან ცალი ფეხით იქეთ და ცალით აქეთ დგომა შედეგს არ მოგვიტანს.

ესაუბრა

ეკა ბუჯიაშვილი

„თბილისი"

თამაზ გამყრელიძე

# რამდენიმე მოსაზრება მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების რეფორმირების თაობაზე

**1. დღევანდელ ვითარებაში ჩვენს ქვეყანაში, ყველასათვის გასაგებია, გასატარებელია ძირეული რეფორმები განათლებისა და მეცნიერების ორგანიზაციის სფეროში, რათა შევინარჩუნოთ და კიდევ უფრო ავამაღლოთ საქართველოში ტრადიციულად არსებული მაღალი აკადემიური დონე.**

2. სათანადოდ უნდა გარდაიქმნას მეცნიერებათა აკადემიის არსებული სტრუქტურა და შეიქმნას „ეროვნული აკადემია", როგორც საბაზისო დაფინანსებაზე დამყარებული ფუნდამენტურ კვლევათა ეროვნული ცენტრი, რომლის კურატორი უნდა იყოს ქვეყნის პრეზიდენტი (ამერიკის „ნაციონალური აკადემიისა" და ჯონ ადამსის – ამერიკის შეერთებული შტატების რიგით მეორე პრეზიდენტის მიერ დაარსებული „ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის" ანალოგიით). „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის" განსაზღვრული წესით არჩეული პრეზიდენტი უნდა დაამტკიცოს საქართველოს პრეზიდენტმა.

3. ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი სოციალური ვითარების გათვალისწინებით, მეცნიერებისა და განათლების სფეროში გამოყენებული უნდა იქნეს არა ევროპული (კერძოდ, გერმანული) მოდელი მკაცრი ასაკობრივი ცენზით (ეს ერთბაშად დასცემდა ჩვენს დღევანდელ აკადემიურ დონეს), არამედ ამერიკული მოდელი, რომელიც აკადემიურ სფეროში მოღვაწეთათვის არ ითვალისწინებს გარკვეულ ასაკობრივ ცენზს: სენატორ კლოდ პეპერის საკანონმდებლო ინიციატივით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა კარგა ხანია მიიღო კანონი, რომელიც აკადემიურ სფეროსა და ადმინისტრაციაში აუქმებს ასაკობრივ ცენზს, როგორც „ასაკობრივ დისკრიმინაციას" და ადამიანის უფლებების დარღვევას.

4. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია შეიძლება სამი ძირითადი კლასისაგან ან განყოფილებისაგან შედგებოდეს, რომლებშიც ცალკეული „სექციები" ან „სექტორები" გამოიყოფა. გასაგებია, რომ დღეს, როდესაც ხდება მეცნიერების ტრადიციულად ჩამოყალიბებული დარგების ინტეგრაცია და კომპლექსური დისციპლინების ჩამოყალიბება, მეცნიერების „კლასებად" განაწილება უაღრესად პირობით ხასიათს ატარებს და ძირითადად პრაგმატული მიზნებით არის გამართლებული.

ამჟამად კლასებად განაწილება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. მათემატიკურ მეცნიერებათა კლასი:
მათემატიკა, ინფორმატიკა.

2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კლასი:
აქ ძირითადად ორი სექტორი გამოიყოფა: (ა) არაცოცხალი
და (ბ) ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებები:

(ა) ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია, გეოგრაფია, გეოლოგია,
ტექნიკური მეცნიერებები და ა. შ.;

(ბ) ბიოლოგია და მედიცინა.

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კლასი;

(ა) ენა, ლიტერატურა, ხელოვნება;

(ბ) ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ა. შ.;

(გ) ეკონომიკა, სამართალმცოდნეობა, სოციოლოგია, პოლიტოლოგია და ა. შ.

5. ქვეყნის პრეზიდენტთან უნდა შეიქმნას, პრეზიდენტის პოლიტიკურ მრჩეველთა საბჭოს ანალოგიით, „განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების" მცირერიცხოვანი საბჭო, როგორც ამ სფეროში არსებული პრეზიდენტის სათათბირო ორგანო.

„24 საათი"

**ახალი წიგნი**



**გიორგი გოგოლაშვილი**

# არ ჩანს შემთხვევითი!

უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტის მე-4 მუხლის I ნაწილში ვკითხულობთ: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური“. ეს სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, მაგრამ გაკვირვებას იწვევს მუხლის მომდევნო ნაწილი: „სხვა ენაზე სწავლება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და წინასწარაა ცნობილი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მსურველი პირისათვის“.

მეორე ნაწილი, ფაქტობრივად, უარყოფს პირველ ნაწილს. თუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს უფლება, არაქართულ ენაზე წარმართოს სწავლება, მაშინ სწავლების ენა ქართული როგორაა?! ეს, ფაქტობრივად, ანტიკონსტიტუციური მუხლია: ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, პარალელურად, არაქართულ ენას ანიჭებს იმავე ფუნქციას!

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ, ამ ცოტა ხნის წინათ, განხილვაზე გამოტანილი კანონპროექტი ენის შესახებ ასევე ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციურ ნორმას: კონსტიტუციით, ქართული არის სახელმწიფო ენა და, შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოებში საქმის წარმოების ენაც. ენის კანონპროექტის მე-12 მუხლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილების შემთხვევაში, არაქართულ ენაზე ფუნქციონირების უფლებაც ენიჭებოდა.

სახელმწიფო ენასთან დამოკიდებულება ორივე კანონპროექტში ერთგვარია: შეიძლება, სხვა ენამ გასწიოს მისი მაგივრობა! მაშინ ქართული აღარ გამოდის სახელმწიფო ენა!

აი, ეს საშიშროება არის ჩადებული ამ კანონპროექტებში.

ხშირად ვიხსენებთ 1978 წლის 14 აპრილს. დიდმა თუ პატარამ თავისი ბიოგრაფიის უმთავრეს ნაწილად აქცია ეს თარიღი, ამჟამად კი, ნებით ვკარგავთ იმ მონაპოვარს: ქართულ ენას სახელმწიფოებრივ სტატუსს ვაცლით; ქართულის გვერდით, სხვა ენებს მის ტოლფას ფუნქციას ვანიჭებთ!

არ ჩანს ეს შემთხვევითი და ამ საფრთხეს წინ უნდა აღვუდგეთ.

# თუ საძირკველი

„თუ გავჩუმდებით, საქართველოს მიზანმიმართული გენოციდი გაგრძელდება“ – ასეთი შესავლით დაიწყო თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის, განათლების ლიგის ერთობლივი ძალისხმევით გამართული შეხვედრა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამომსვლელთა მსჯელობის თემა, ისევ და ისევ, განათლების ახალი პროექტი იყო.

**მერაბ ჯიბლაძე:**

ვფიქრობ, ამ კანონპროექტს ერთადერთი მიზანი აქვს – ქართველის ახალი ტიპი სურთ გამოძერწონ, რათა, თურმე, ევროპაში ინტეგრაცია შევძლოთ. მაინც, ვის უნდა ვგავდეთ? ბერძენს, ჰოლანდიელს, ფრანგს, ალბათ, ნებისმიერს, ოღონდ არა ქართველს!..

დღეს აქ იმიტომ შევიკრიბეთ, რომ ეს არ დავუშვათ. შევიკრიბეთ უნივერსიტეტში, იმ დიდ ტაძარში, რომელმაც ღრმა კვალი დააჩნია ჩვენს ეროვნულობას, იმას, რასაც ყოველთვის ებრძოდნენ ქართველ ერში... დღეს, ეს ბრძოლა უფრო საშიშია, უფრო მძიმე და რთული... სწორედ, ამიტომ შევიკრიბეთ ეროვნულ ტაძარში, რომელიც ყოველთვის იდგა ჩვენთვის სასიცოცხლო მოვლენების ცენტრში. ცხადია, დღესაც აქედან უნდა იწყებოდეს ბრძოლა საკუთარი ეროვნულობის დასაცავად, მომავალი თაობების ქართველობის გადასარჩენად.

**მაია ნათაძე:**

ამჟამად მოქმედების ახალი გეგმა გამიჩნდა. ეს გეგმა იწყება იმით, რომ საქართველო ვალდებულია, სტრუქტურული ცვლილებები გაიაროს ყველა სფეროში – ჩვენს ქვეყანაშიც, როგორც მთელ მსოფლიოში, გლობალიზაციის პროცესი მოგვეძალა.

სამყარო დაპატარავდა. – თავად ამ პროცესის ერთ-ერთი ლიდერი რომანო პროდი ამბობს, რომ, ასეთ დროს, ცალკეული პატარა ქვეყნების ტრადიციები, საერთოდ მათი ყოფნა-არყოფნა ეჭვქვეშ დგება... იცით, როცა მოდის სტიქია, მაგალითად, მდინარე დიდდება, ვერაფერს გააწყობ, გარდა იმისა, რომ შენი სახლი დაიცვა ჯებირების აგებით, მაგრამ... ჩვენი ისტორიული რეალობა ხომ ასეთი

# დანგრეულია

იყო – ციხე (და ჯებირებიც) შიგნიდან ტყდებოდა (და ინგრეოდა) ყოველთვის...

### მიხეილ ქურდიანი:

მინდა, გავიხსენო განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა შეხვედრა უნივერსიტეტის სტუდენტობასთან და მადლობა ვუთხრა ჩვენს ახალგაზრდობას პრეზიდენტის სახელზე მომზადებული მიმართვისათვის, რომელშიც ძალზე კარგად გამოხატა მოქალაქეობრივი პოზიციაც და საერთაშორისო კონვენციების ცოდნაც. ხომ გახსოვთ სტრიქონები: „იცოდე, შვილო, გამოცდილია, თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ. კედლების აშენებისთვის, ყოველი შრომა დაკარგულია.“ სწორედ ამ საძირკვლის დანგრევა სურდათ მათ, ვინც ჩვენს სტუდენტებს, პედაგოგებს უკირკიტებდა... ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ საქართველოში არ არსებობდეს ისეთი კანონპროექტები, ყველაზე მთავარს, ინტელექტს რომ ემუქრებათ, ჩვენ ჯერასოდეს (არასოდეს) შევქმნით წყალბადის ბომბს, რალაც ისეთს, რითაც გავაოცებთ და შევაცბუნებთ მსოფლიოს, მაგრამ ჩვენ ყოველთვის გვქონდა და გვაქვს ისეთი კულტურა და ტრადიციები, რის წინაშეც ყოველთვის ქედს მოიდრეკდა მთელი სამყარო... სწორედ, ამას უნდა გავუფრთხილდეთ!

### მანანა ნიკოლაიშვილი:

ჩვენი ხელისუფლების სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ამ მტკივნეული პრობლემის შესახებ დებატები კი არ იმართება, ცალმხრივად აქებენ უბადრუკ კანონპროექტს. მერწმუნეთ. ჯერ სკოლას დაანგრევენ, მერე სხვა ჯებირებსაც იოლად მოარღვევენ და, საბოლოოდ. ეროვნული დაცემაც დაიწყება...

მითხარით, რატომ უნდა მჯეროდეს მინისტრისა, ვინც თვალსა და ხელს შუა მატყუებს – იგი საპასუხო წერილში მიმტკიცებს, რომ საგანთათვის, საათობრივადმ ცვლილებები სასწავლო გეგმებში არ მომხდარა. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...“

ჩვენმა პრეზიდენტმა, თავის პროგრამაში, ხაზგასმით აღნიშნა განათლების პრიორიტეტულობის შესახებ, სწორედ მან უნდა მოსთხოვოს პასუხი ვაი-რეფორმატორებს?

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ დაგვისახელონ გვარები, ვინ დაწერა ეს კანონპროექტი? მაგრამ, ვფიქრობ, რალაც აბსურდს ვითხოვთ, რადგან ამ ახალ პროექტს ქართველი ავტორები არ ჰყავს – ის ნათარგმნია იმ საერთაშორისო დოკუმენტებიდან, რომელიც მიზანმიმართულად იქმნება გლობალიზაციისათვის.

ამბობენ, რომ ამ ახალი პროექტით, კორუფციას ებრძვიან, სასწავლო პროგრამიდან ამოღებულია დამატებითი განათლება. კახა ლომაია და მისი გუნდი კი აყალიბებს სარეპეტიტორო ფასიან **კურსებს**, სადაც ერთი საათი მეცადინეობა ერთ საგანში, რვა-ათი დოლარი ღირს...

### კობა დავითაშვილი:

ნებისმიერ საკითხში რეფორმის უპირობო მომხრე ვარ, მაგრამ როცა საქმე განათლებას ეხება – ასეთი კანონპროექტით, კონსერვატორი ვხდები. სამწუხაროდ, რეფორმატორებს ჰგონიათ, რომ ისინი ნოვატორები არიან, სხვანი კი, ამ კანონპროექტის მოწინააღმდეგენი – რეტროგრადები...

ცოტა ხნის წინ, ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა: როცა მესაზღვრეს აქვს ხელფასი 80 ლარი, ეს მიუღებელია და პირველ რიგში მოსაგვარებელი პრობლემააო; პედაგოგმა კი უნდა მოითმინოს... რატომღაც გვავიწყდება, რომ ქართული თვითშეგნების მესაზღვრეები, სწორედ, პედაგოგები არიან და ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის... საერთოდ კი ვფიქრობ, არც ამ შეხვედრას, არც ჩვენს საუბარს აზრი არ აქვს, თუ არ გვექნება კონკრეტული რეზოლუცია, მოთხოვნა... ჩემი წინადადება ასეთია: ლომაია და მისი გუნდი უნდა გადადგეს!

**უნივერსიტეტის** სტუდენტებმა შეკრებილებს გააცნეს თავიანთი მიმართვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისადმი. აქ ისინი, კიდევ ერთხელ, გამოხატავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას ახალი კანონპროექტის მიმართ და პრეზიდენტს შეახსენებენ „გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციას“, მასში ჩამოყალიბებულ ვალდებულებებს და მოითხოვენ:

„სახელმწიფომ უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვთა უფლებების დაცვა;

ახალი რეფორმატორული ნაბიჯი გადაიდგას კონვენციის მოთხოვნათა საფუძველზე;

დღეისთვის გამოქვეყნებული დოკუმენტები კი, ამ მოთხოვნებთან და ფართო საზოგადოებასთან შეუთანხმებლობის გამო, არ მიიღოს საკანონმდებლო ორგანომ“.

ჩაიწერა ეკა ბუჩიაშვილმა

„თბილისი“

მარიამ ცაცანაშვილი, გიორგი გოგოლაშვილი

# პროექტი „ილია ჭავჭავაძე", რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეწინააღმდეგება

**გაზეთ „თბილისის" 2004 წლის 27-28 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა პროფესორ მარიამ ცაცანაშვილისა და პროფესორ მიხეილ ქურდიანის შეხედულებები უმაღლესი განათლების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. რადგან ამ შეხედულებათა ძირითადი ღერძი განათლებისა და მეცნიერების სფეროში რეფორმის ერთიანი კონცეფციის შემუშავების მოთხოვნაა, აუცილებლად ჩავთვალეთ, გვემსჯელა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონპროექტზეც, რომელსაც პროექტის ავტორებმა ილია ჭავჭავაძის სახელი უწოდეს.**

„თუ კანონი ისეთია, რომ კაცი პოულობს მასში ღონისძიებებს, ცუდი საქმე ჩაიდინოს, მაშინ, კანონი რყვნის ადამიანს, თუ კანონი ისეთი ბნელია, კაცს არც ესმის და ვერც გაიგებს, მაშინ, ადამიანს არ ეცოდინება კანონი", — ამბობს ილია (თხზ. ტ. 6, გვ. 73-74).

ამთავითვე ვიტყვით, რომ მისი სახელით მონათლული კანონპროექტი ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.

კანონპროექტის მე-2 მუხლის „თ" ქვეპუნქტით, საქართველოს მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით, ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს ამტკიცებს. როგორც კანონპროექტში ვკითხულობთ, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების მაჩვენებლების შემუშავების საფუძველია. ვინც განათლების სისტემაში ოდნავ მაინც ჩახედული, მიხვდება, რომ ეს განათლების სისტემის პოლიტიკაა. მეორეკურსელი იურისტისთვისაც კი ცნობილია, რომ პოლიტიკის განსაზღვრა, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლით, პარლამენტის პრეროგატივაა (ფორმალურად, ავტორებს ეს არ ავიწყდებათ და კანონპროექტის მე-12 მუხლში დეკლარაციული ფორმით აღიარებენ პარლამენტის როლს), ხოლო კონსტიტუციის 69-ე მუხლით, პოლიტიკის წარმართვა პრეზიდენტის ფუნქციაა. ამიტომაც ვამბობთ, მთავრობის მიერ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის დამტკიცება, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით, პრეზიდენტისა და პარლამენტის ფუნქციების მითვისებაა და არა გვგონია, ის ფორმულირებები და შინაარსი, რასაც პროექტის ავტორები გვთავაზობენ,

სამართალი არის ის სიმართლე,
რომელიც ხალხის სინდისს შეეფერება,
რაც ხალხს მამა პაპით სიმართლედ უცვნია
და დღესაც სიმართლედ სწამს...
სამართალი მთელი ერის
განწმენდილი სინდისია,
მთელი ერის განწმენდილი ნამუსია.

ილია

ათასობით პედაგოგმა და მშობელთა დიდმა ნაწილმა იწამოს. ილია კი ამბობს: „სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად, თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ ყველაფერი ამაოა" (თხზ. ტ. 6. გვ. 86.).

კანონპროექტის მე-4 მუხლით, სწავლების ენა ქართულია, ხოლო აფხაზეთში — აგრეთვე, აფხაზური. ეს პუნქტი, ნამდვილად, არაა სადავო, მაგრამ, თუ ტექსტის კითხვას გავაგრძელებთ, დავინახავთ, რომ „იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის მშობლიური ენა არ არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ენა, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, სასკოლო — სასწავლო გეგმაში შეიტანოს მოსწავლის მშობლიური ენის, ან მშობლიურ ენაზე სწავლების პროგრამა, არსებული დაფინანსებისა და სასწავლო ეროვნული გეგმების ფარგლებში." როგორ წარმოუდგენიათ ავტორებს ამ პუნქტის განხორციელების მექანიზმი? თუ კლასში ერთი მოსწავლე მაინც იქნება, რომლის მშობლიური ენა არაა ქართული, მას ცალკე მასწავლებლები უნდა დავუქირაოთ მშობლიურ ენაზე პროგრამის შესასწავლად?

ამით აშკარად ვეწინააღმდეგებით კონსტიტუციას: თუ საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო ენის პრინციპს ვაღიარებთ განათლების სისტემაში, მაშინ კანონპროექტის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის რედაქცია პირველ პუნქტს მთლიანად გამორიცხავს.

ისე, სალაპარაკოდ, თორემ, ხსენებულ მუხლში უფრო მზაკვრული აზრია ჩადებული, რაც განათლების სისტემაში სახელმწიფო ენის დამკვიდრების პრინციპს ეწინააღმდეგება. ეს არის მცდელობა უცხო ენაზე სწავლებით (კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი) არაკონკურენტუნარიანი გახადონ ქართულ ენაზე

სწავლება და დააკნინონ სახელმწიფო ენის როლი. არადა, თანასწორობის მაღიარებელი კონსტიტუციის იგივე 38-ე მუხლი ამბობს, რომ უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

კიდევ რატომ არის ეს პროექტი კონსტიტუციის საწინააღმდეგო?

გავყვეთ კანონპროექტის მე-5 მუხლის ფორმულირებას: სახელმწიფო შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომლითაც განისაზღვრება, ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით, აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, მათი განაწილება და თანაფარდობა, აუცილებელი და მაქსიმალური დატვირთვის რაოდენობა. რომ აღარაფერი ვთქვათ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში ამ მუხლის სხვაგვარ ინტერპრეტაციაზე, საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან. დიახ, კანონპროექტში, კონსტიტუციით აღიარებული განათლების უფლების გარანტიები უნდა ჩაიდოს. ანუ, კანონმა უნდა დაადგინოს პროგრამების შემუშავების ისეთი მეთოდები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება საერთაშორისო არენაზე საქართველოში მიღებული განათლების კონკურენტუნარიანობა. ასეთი სტანდარტების დადგენა კი საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით, მხოლოდ უმაღლეს ორგანოთა გამგებლობას განეკუთვნება. თუ სწორედ ასეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პრინციპებზე არ იქნება საუბარი პროექტის მე-5 მუხლში, მაშინ როგორღა ვაპირებთ კონსტიტუციის დასახელებული მუხლისა და თვით ამავე პროექტის მესამე მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნის განხორციელებას — საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში?

პროექტის მე-8 მუხლით არის კანონში კონსტიტუციის 35-ე მუხლით აღიარებული განათლების უფლების გამოტანის მცდელობა. ჯერ ერთი, კანონმა კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გარანტიების რეგულირების მექანიზმი უნდა მოგვცეს და არა უფლების აღიარებისა. მაგრამ, თუ მაინცდამაინც, ამას მხოლოდ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით ავხსნით, კონსტიტუციის მუხლს მაინც ნუ დავამახინჯებთ და კაზუისტიკას ნუ დავნერგავთ. სად გაქრა მე-8 მუხლში კონსტიტუციით აღიარებული განათლების ფორმის არჩევის უფლება?

კანონპროექტის მე-9 მუხლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ძალადობის აკრძალვას ეხება. საქართველოში ერთ ადამიანსაც ვერ ნახავთ, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში ძალადობის ელემენტებს უჭერდეს მხარს, მაგრამ პროექტის ავტორებს გააზრებული აქვთ კი ამ მუხლის ინტერპრეტაციისა და რეალიზაციის მექანიზმები?

პროექტის მიხედვით, დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მიმართ ძალადობა, აგრეთვე ძალადობის ნებისმიერი სხვა გამოვლენა. ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს მკაცრი რეაგირება, გასაჩივრების სპეციალური პროცედურების ამოქმედებით.

ჯერ ერთი, ძალადობა, თავისი შინაარსით, სისხლის სამართლებრივი დისპოზიციაა და იგი სასამართლო განხილვის საგანი უნდა გახდეს. რა სპეციალურ პროცედურებს აამოქმედებს სკოლა? რა, სასამართლოს უფლებებს შეითავსებს? შემდეგ: პროექტის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით, სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთ ფუნქციად აღიარებულია ის, რომ განიხილავს მოსარჩელეთა საჩივრებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხოფის შესახებ და იღებს შესაბამის ზომებს.

პროექტის ავტორებს ან ძალადობისა და შეურაცხყოფის ცნებები არ ესმით ან აღზრდის ხერხებსა და მეთოდებს ხდიან სამეურვეო საბჭოს შეფასების საგნად. კიდევ უფრო მძიმე რაც არის, ასეთი საჩივარი ყოველთვის მომჩივანის სასარგებლოდ წყდება. პროექტით, იმის შესაძლებლობაც არ არის, რომ მასწავლებელმა, თუ მას ასეთი რამ არ ჩაუდენია, თავისი პოზიცია დაიცვას, ან, საერთოდ, თუნდაც, ასეთი ეჭვმიტანილი მასწავლებელი როგორღა უნდა შევიდეს კლასში?

არც ერთ კანონს უფლება არა აქვს, არ დაიცვას უფლებამოსილებათა ბალანსი საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შორის. მოსწავლის უფლება — საჩივარი შეიტანოს სამეურვეო საბჭოში მასწავლებლის მხრიდან სიტყვიერი ან ფიზიკური ძალადობის გამო, მოსწავლეთა თვითმმართველობის მეშვეობით (მუხლი

> იყო დრო, როდესაც საქებარს აქებდნენ და საძაგელს აძაგებდნენ. დღეს ეს განსხვავება აღარ არის. საგმობზედ მეტად საქებარს უფრო გმობენ.
>
> **აკაკი**

40), შეიმუშაოს შეფასების წესი და შემდეგ თვითონ შეაფასოს და მოსთხოვოს მასწავლებელთან ხელშეკრულების შეწყვეტა, ისეთი ფაქიზი თემებია, რომელიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას კი არ შეუწყობს ხელს, არამედ ნულამდე დასცემს პედაგოგის ავტორიტეტს!

აქსიომაა, რომ ერთის უფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. ეს აქსიომა საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის მეორე პუნქტშიც წერია და ილიასეული გზაც, სწორედ, ასეთია: „ჩემი აქ თავდებაო და სხვისი აქ იწყებაო“ (თხზ. ტ. 6.გვ.8.). ილია იმასაც შეგვახსენებს, რომ ჩვეულება ერისათვის იგივე სჯულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილის კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტი საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტკივარი წამალიც არის ამ საჭიროების“ (თხზ. ტ.6. გვ 154.).

ასეთი ბარბაროსული ნორმების შემოტანით კი გვავიწყდება ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიცია აღსაზრდელსა და აღმზრდელს შორის. თუ არადა, მოგვეცით სტატისტიკა იმ გამოკვლევებისა, რომლებიც საქართველოში მასწავლებელთა ძალადობის მსხვერპლ მოსწავლეებს ეხებათ. თუ ასეთი ფაქტები სისტემატურია, საქართ-

ველო ზნეობრივად გადაგვარებულა. მაგრამ, რეფორმის მამები, ამგვარი ნორმების რეგლამენტირებით სამართლებრივ სახელმწიფოს მაინც ვერ შექმნიან, რადგან ეს ნორმები არა მარტო კონსტიტუციას ეწინააღმდეგებიან, არამედ, სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა უფლება-მოვალეობათა დაბალანსების ნაცვლად, ინკვიზიციას აკანონებენ.

როგორია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში? ამ საკითხს კანონპროექტის მე-14 მუხლი ეხება და „ა"-დან „წ"-მდე ქვეპუნქტებს მოიცავს. შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე:

– შეიმუშავებს განათლების სისტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს. არც განმარტებებში და არც პროექტის სხვა მუხლებში არ არის ნაჩვენები, რა დოკუმენტია ეს და რა არის მისი შემუშავების საფუძველი;

– გასცემს თანხმობას საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების პროექტებზე. – აი, ეს კი, ნამდვილად, კორუფციული ხვრელია;

– თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნებთან, მათს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში. ასეთი თანამშრომლობა საშური საქმეა, მაგრამ კონსტიტუციურ ვალდებულებას, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან, ვინ უნდა ახორციელებდეს, თუ არა განათლების სამინისტრო?

– ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსურ შემოწმებას; კი მაგრამ, კონტროლის პალატას, კონსტიტუციის 97-ე მუხლით, საბიუჯეტო ხარჯების შემოწმების უფლება აღარ აქვს? ან, საგადასახადო ორგანოები რატომ ვერ შეამოწმებენ არასაბიუჯეტო სახსრების ხარჯვის კანონიერებას. რა დამატებითი რგოლია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფინანსური კონტროლის კუთხით? რამდენი თანამშრომელი ესაჭიროება ამ დუბლირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის?

– უფლებამოსილია, დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის პროცედურების მომზადების მიზნით; ატესტაცია-აკრედიტაცია, საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლით, უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას განეკუთვნება და იგი არ შეიძლება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გადაეცეს. აქ პროექტის ავტორები თავს ვერ გაიმართლებენ, რომ ისინი მხოლოდ პროცედურის მომზადების მიზნით ქმნიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, გადაწყვეტილებას კი სამინისტრო იღებს. აკრედიტაცია, ისევე, როგორც ატესტაცია, პროცესია და ის არ შეიძლება, დანაწილდეს. ასეთი იურიდიული ხრიკით, არ შეიძლება შეურაცხყოფა მივაყენოთ არა მარტო კონსტიტუციას, არამედ სახელმწიფოს როლსა და დანიშნულებას, ატესტაცია-აკრედიტაციის საქმეში;

– უფლებამოსილია, ცნოს კერძო სამართლის იურიდიული პირი (აქ უკვე საჯაროზე აღარც არის ლაპარაკი), როგორც უფლებამოსილი შემფასებელი ორგანო; – ესეც კორუფციული ხვრელია. თუ კანონში არ იქნება გაწერილი, რა შეიძლება გახდეს ცნობის საფუძველი, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩინოვნიკის პირადი გადასაწყვეტი ხდება, ვის მიანიჭოს შემფასებლის სტატუსი და ვის – არა. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, მიზანშეწონილია თუ არა, საშემფასებლო ფუნქცია არსებობდეს კერძო სექტორში.

– პროფესიულ კავშირებთან შეთანხმებით, გეგმავს ღონისძიებებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში. – მეტად უსუსურად გამოიყურება, პროფკავშირების როლი, როცა მასწავლებელთა დათხოვნისა და დასჯის შემთხვევაში, მათ არავინ არაფერს ეკითხება.

ასე რომ, სამინისტრო მშვენივრად ითავსებს პარლამენტის, პრეზიდენტის, კონტროლის პალატის ფუნქციებს, უწყების გარეთ გააქვს განათლების სფეროში პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები, იძენს დასჯად და დამატებით მაკონტროლებელ ფუნქციებს.

პროექტის მე-16 მუხლი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრსა და ეროვნული გამოცდების ცენტრს ეხება. ისინი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეფასების ფუნქცია შეიძლება მიეცეს კერძო სამართლის პირსაც, რომელსაც ცნობს განათლებისა და მეც-

## ახალი წიგნები









ნიერების სამინისტრო (მე-14 მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი). რა მიმართებაა ამ სამეთვალყურეო სუბიექტებს შორის — ან ორგანიზაციულად ან მეთოდურად, პროექტიდან არ ჩანს. ეროვნული ცენტრის ფუნქციებში კი ვკითხულობთ, რომ მისი შედეგები არის საქართველოს მოქალაქეებსა და რეზიდენტებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის საფუძველი. საიდან გაჩნდა პროექტში ისეთი სუბიექტი, როგორიცაა რეზიდენტი და რატომ უნდა მიიღოს მან სახელმწიფო სასწავლო გრანტი? ასეთი ფორმულირება საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დისკრედიტაციაა, კონსტიტუციური ნონსენსია. ისევე, როგორც კვოტების განსაზღვრა უცხოელი მოქალაქეებისათვის. ისმება კითხვა: საერთო შერჩევაში, უცხოელები რატომ არ მონაწილეობენ?

თუ ეს მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამებისათვის არის გამიზნული, კიდევ მისაღებია, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ნორმაში მიზანი და პრინციპები მაინც უნდა ჩაიდოს, კორუფციული გარიგების საფუძვლად რომ არ იქცეს.

მე-19 მუხლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას ეხება. პროექტით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, დასაშვებია, ჩამოყალიბდეს კერძო სამართლის სამეწარმეო სუბიექტად. განათლება რომ მეწარმეობა არ არის, გასაგებია, მაგრამ საგანმანათლებლო დაწესებულება მეწარმეობას რომ დაიწყებს, მისი ძირითადი ფუნქცია, — განათლების ორგანიზება, სრულიად მეორეხარისხოვანი იქნება და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის საშუალება გახდება. რა ადგილი უკავიათ კერძო სამეწარმეო საგანმანათლებლო დაწესებულებებს განათლების მართვის ერთიან სისტემაში და რატომ არის შემწყნარებლური განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დამოუკიდებლობა ასეთი სუბიექტების მიმართ (საჯარო სამართლის სუბიექტისაგან განსხვავებით), მხოლოდ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით არ აიხსნება. პირიქით, იურიდიული ტექნიკა, ასეთ შემთხვევაში, სხვა მძიმე პროცესების „შესაფუთავადაა“ გამოყენებული, მათი გახსნისაგან, ამ ეტაპზე, თავს შევიკავებთ და ანალიზს მკითხველს მივანდობთ.

21-ე მუხლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ლიკვიდაციის საფუძვლებს ეხება.ის შიში, რომელიც ზემოთ გამოვთქვით კერძო სამართლის საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ, ლიკვიდაციის საფუძვლებში ნამდვილად, არ არის მოხსენიებული; მაგრამ, თუ დაწესებულების საქმიანობა ატარებს ანტისახელმწიფოებრივ ხასიათს და აღვივებს სეპარატიზმსა და შეუწყნარებლობას, ლიკვიდაცია გარდაუვალია. შემზარავია! ასეთი ფორმულირება პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ შეგვხვედრია, მაგრამ ვერ დავიჯერებთ, რომ მსოფლიო პრაქტიკა მსგავს პრეცედენტს იცნობდეს განათლების სფეროში; ანუ სკოლას, მთლიანად, როგორც სუბიექტს, რომელსაც სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დირექცია და რამდენიმე სათათბირო ორგანო აქვს, რომლის პროგრამებისა და სასწავლო გეგმების დამტკიცება სახელმწიფო დონეზეა აყვანილი, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის განხორციელება შეეძლოს.

ამ თეზისის უკან ნამდვილად იკითხება პედაგოგიური აზრის აუტოდაფე.

პროექტის 27-ე მუხლი სამეურვეო საბჭოს ფორმირებას ეხება. სამეურვეო საბჭო, სათათბიროსა და პედაგოგიური საბჭოს მიერ, თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული წარმომადგენლებისაგან შედგება. ყოველწლიურად ხდება შემადგენლობის მესამედის როტაცია და, კანდიდატურებთან დაკავშირებით, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დაინტერესებული ჯგუფების, ორგანიზატორებისა და მეწარმეების ინტერესები. სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, იგი წარმოადგენს სკოლას დირექტორთან ურთიერთობაში. ჯერ ერთი, თუ საბჭოს ფუნქციონირება ვადითაა განსაზღვრული, როტაცია, ანუ წევრთა მონაცვლეობა, ყოველწლიურად, რაღა შუაშია? რა პრინციპით ხდება როტაცია? ყოველწლიურ, პერმანენტულ არჩევნებს სკოლაში (სკოლებში) რა ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება და როგორ მოიყრის ამდენი ოქმი თავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში? ეს ვინმემ დაითვალა? ან, ვინ არიან ის დაინტერესებული ჯგუფები და მეწარმეები, ვისაც წარმომადგენლები შეჰყავთ სამეურვეო საბჭოში? ხარისხიანი განათლების მიღებით ხომ მშობლები და სახელმწიფო (ან თვითმმართველობა) უნდა იყოს დაინტერესებული? სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის ასეთი ფორმით შევსების ფორმულირება, ისევ და ისევ, კორუფციული ხვრელია. საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას კი — წარმოადგინოს სკოლა დირექტორის წინაშე, ვერცერთი გრაფიკოსი ვერ წარმოსახავს. ანუ გაუგებარია: ფუნქციურად, სკოლა სხვაა, დირექტორი — სხვა და საბჭოს თავმჯდომარე — სხვა? დირექტორი რომ „შერისხული“ პიროვნებაა, პროექტიდან პირდაპირ იკითხება — 33-ე მუხლით, სადაც დირექტორის ფუნქციებზეა საუბარი: მას არ აქვს გადაწყვეტილების მიღების უფლება, ანუ არ არის ოპერატიული მმართველი და ხან სამეურვეო საბჭოს მდივანია, ხან — ბუღალტერი, ზოგჯერ — ინკვიზატორიც;






მაგალითად, შეუძლია, მოიწვიოს შემფასებელი, ეჭვის საფუძველზე, რომ მასწავლებელი არასაკმარისად კვალიფიციურია. თუმცა, შემფასებლის კანდიდატურას სამეურვეო საბჭოსთან ათანხმებს. იგი მოსწავლეთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის საჩივრების განხილვისას, იღებს შესაბამის ზომებს. რაში გამოიხატება ეს ზომები, მას დამოუკიდებლად არანაირი ფუნქციის განხორციელება არ შეუძლია! საერთოდ, ასეთი შეკითხვაც ისმება, რა პროფესიის უნდა იყოს დირექტორი? – კარგი მენეჯერი? ასეთი მართვის სისტემაში, იგი გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს. კარგი პედაგოგი? – რა საჭიროა, პედაგოგის უფლებებით სარგებლობისას, მას აუცილებლად მოხსნიან. კარგი მოსამართლე? – მასწავლებელზე ეჭვი რომ გამოიძიოს და სამსახურიდან დაითხოვოს? არა, იგი ინკვიზიციის აღმასრულებელია (ინკვიზატორია), რადგან მას შეიძლება უნდობლობა გამოუცხადოს სამეურვეო საბჭომ და შეუწყვიტოს უფლებამოსილება.

22-ე მუხლით, დირექტორი, მხოლოდ პასუხისმგებელია ეროვნული სასწავლო გეგმების, ნორმატიული აქტების შესრულებაზე, აღმზრდელობითს პროცესსა და ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე. რა ბერკეტებით უნდა იმოქმედოს დირექტორმა, რომ პასუხისმგებლობა რეალურად იკისროს? გაუგებარია. ისიც გაუგებარია, სამეურვეო საბჭო, რომელიც წელიწადში სამჯერ იკრიბება (28-ე მუხლი), მუდმივმოქმედი ორგანოს ფუნქციებით რატომ არის აღჭურვილი?

ზოგადსაგანმანათლებლო ორგანოს ჰყავს, აგრეთვე, პედაგოგიური საბჭო და სათათბირო. 36-ე მუხლით, პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმებს; სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმძღვანელოთა ნუსხას; ეჭვის არსებობის შემთხვევაში, მიმართავს დირექტორს, შემფასებლის მოსაწვევად.

სათათბირო კი, 37-ე მუხლის მიხედვით, მშობელთა ან მათ წარმომადგენელთა ორგანოა. მუხლი შეიცავს სათათბიროში არჩევის წესსა და პროცედურას. მისი ფუნქციაა, მიმართოს სამეურვეო საბჭოს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით, გააკონტროლოს სკოლის სახსრების ხარჯვა, მიმართავს დირექტორს შემფასებლის მოწვევის მოთხოვნით. როგორც ვხედავთ, ფუნქციათა დუპლექსები კი არა, ტრიპლექსებიც მივიღეთ!

ამას დაუმატეთ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობები და მოსწავლეთა კლუბები, რომლებიც ნებაყოფლობითი კი არა, სკოლის სტრუქტურული ერთეულია. ისინი სკოლის სახსრების განკარგვაში არ მონაწილეობენ, მაგრამ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მოპოვებული გრანტის განკარგვაში (39-ე მუხლის მე-5 პუნქტი). ვერ გეტყვით, ეს მორიგი იურიდიული გაუგებრობაა თუ ისევ კორუფციული ხვრელი?

მოსწავლეთა თვითმმართველობებს პრეზიდენტი ჰყავს. ეს ცუდი არ არის, ლიდერის თვისებების ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ფუნქციები, ნამდვილად, ანარქიულია: იძლევა რეკომენდაციებს შინაგანაწესის შესახებ, შეიმუშავებს მასწავლებელთა შეფასების წესს. შეფასების წესი თუ ბავშვმა შეიმუშავა, ამ პროექტის ავტორებს წარმოდგენა აქვთ, რა მოხდება სკოლებში?

კიდევ უფრო „ეგზოტიკურია“ მოსწავლეთა კლუბები, რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გაერთიანებაა და სათათბირო ხმა ეკუთვნის სამეურვეო საბჭოში. სწავლის გარდა, რა ინტერესების გაერთიანებაზეა საუბარი, გაუგებარია. ეს რომ სპორტული, სამეცნიერო, რელიგიური ან მათი მსგავსი ინტერესი არ არის, ცხადია (თუმცა, არ გამოირიცხება), თუნდაც იმიტომ, რომ მსგავსი ინტერესები სასწავლო გეგმებსა და პროგრამებშია და სპეციალური სტრუქტურული ერთეული, მოსწავლეთა კლუბების სახით, ნამდვილად, არაფრისმთქმელია.

ალბათ, ამაზე იტყოდა ილია: „მართლმსაჯულების გარეშე ქვეყნიერება ერთს არეულს და ერთმანეთის მჭამელს მხეცთ გროვას წარმოადგენდა“ (თხზ. ტ4. გვ. 242.)

და ბოლოს, კანონპროექტის გარდამავალი დებულებით, გათვალისწინებულია საშუალო პროფესიული განათლების, აღმზრდელობითი დაწესებულებები. ვინც იურისპრუდენციაში ოდნავ მაინც გაცნობიერებულია, მიხვდება, რომ გარდამავალი დებულებები დროებითი ხასიათის ნორმებია. საქართველოს კონსტიტუცია კი ასეთი უფლებების აღიარებას და შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფას დროებით ხასიათს ნამდვილად არ ანიჭებს.

> ბავშვი რომ სწავლობს ლექსებს, იგი სწოვს სულისთვის საზრდოს და ღონეს ღვიძლი ენის ღვიძლი ძუძუდან.
>
> **უშინსკი**

ასეთია ის ძირითადი დეტალები, რომლებიც ზოგადი განათლების შესახებ კანონპროექტშია გადმოცემული: მართვის ვირტუალური სისტემა, საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით აღიარებული ტრადიციების უგულებელყოფა... როგორც ილია იტყოდა: „სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნჯე აქვთ დარჩენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ და გამოუკვლევლად არაფერს სტოვებენ, მხოლოდ ამნაირი შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება შევიგრძნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი. სადაც, ასე არ არის, იქ ყოველთათვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ, რა სურს ხალხს, რას აქცევს ზურგს იგი“ (თხზ. ტ. 4. გვ. 192.).

ხალხს ახსოვს საქართველოს პრეზიდენტის დაპირება: ამაღლდეს პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაიზარდოს წარმომადგენლობითი ორგანოები სასკოლო დაწესებულებათა მართვაში, დაინერგოს ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიები, განათლების მიღების პროცესში. ამიტომ, ხალხი საქართველოს პრეზიდენტს კი არ აქცევს ზურგს, არამედ – ზოგადი განათლების შესახებ კანონპროექტით შემოთავაზებულ მექანიზმებს, რაც გლობალიზაციის პროცესში სოციალურ კატასტროფას გვიმზადებს.

თუ ყურს მივუგდებთ ხალხის ხმას, ხალხი პროგრესული რეფორმების გატარებაში ყოველთვის გამოგვყვება, თუ არა და, როგორც ილია იტყოდა „საცა ძალაა, იქ სამართალს ხმა და ხელი არ აქვს.“ (თხზ. ტ. 9. გვ. 199-200.).

**„თბილისი“**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნიბახაშვილი

# ფილოლოგებო და ისტორიკოსებო, თქვე ქვეყნის დამაბრკოლებელნო!

**პროფესორ გიორგი წიბახაშვილის წერილი არ ეხება კანონპროექტს უმაღლესი განათლების შესახებ, მაგრამ აქ დასმული საკითხი, ჩვენი აზრით, არ არის შორს ჟურნალის ამ ნომრის მთავარი თემისგან**

რაო? არაო? რით დაამტკიცებთო?

დიახ, ბატონებო! დავამტკიცებთ და თანაც როგორ. წარმოგიდგენთ საბუთს, ისეთს, რომ ქვას გახეთქავს, საბუთს, რომელშიც „მეორე მხარემ“ 35 ათასი დოლარი გადაიხადა. 35 ათასი. ეს არის პროფესორის 60 წლის ხელფასი, ხოლო თუ „პროგრესულ“ დაკავებებს (საშემოსავლო გადასახადი) გავითვალისწინებთ, ალბათ 62-63 წელსაც ეყოფა. აი, თუ დღეს არსებულ პენსიაზე გადავთვლით (პარლამენტარების 500 ლარიან პენსიას არ ვგულისხმობ), 35 ათასი დოლარი, ანუ 70 000 ლარი, მოგვცემს 3700 პენსიას ანუ 308 კაცის წლიური საპენსიო ფონდია ეს თანხა.

აი, რამდენი გადაიხადეს დამკვეთებმა იმ საბუთში, სადაც ქართველი ფილოლოგებისა და ისტორიკოსების ანტიქართულ მოღვაწეობაზეა ლაპარაკი. დოლარების პატრონები კი სულელები არ არიან – ტყუილ-უბრალოდ, ისე, ვიღაცის სიბრალულით ფულს არავის ურიგებენ თუ ხუთმაგი მოგების იმედი არა აქვთ. აი, რას ღაღადებს ეს დოკუმენტი:

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ დაბრკოლებად წარმოგვიდგება ე. წ. ეროვნული იდეოლოგიის შესახებ გავრცელებული შეხედულება და ტერმინ „ტრადიციის“ მცდარი გაგება. ამ თვალსაზრისით ძირითადი გამავრცელებელი მექანიზმია საშუალო სკოლა, ხოლო მიმწოდებლები – ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები. ამ საგნების სწავლებისას ჯერ კიდევ განსაკუთრებით შეინიშნება ეროვნულ სახელმწიფოზე, პატრიოტიზმზე, საზოგადოების რელიგიურ მოწყობაზე ვადაგასული წარმოდგენების გაბატონება.“

ეს ციტატა, ბატონებო, ამოღებულია დოკუმენტიდან, რომელიც დაფინანსდა 34998 დოლარით და რომელიც მე პირადად გაზეთ „რაო-რაო?“-ს 2004 წლის №315 ამოვიკითხე. როგორც ვხედავთ, გაზეთმა სერიოზული ბრალდება წაუყენა „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მაშინდელ ხელმძღვანელს ბ-ნ ზ. ჭიაბერაშვილს, რომელიც დაპირებას აძლევს დოლარების გამცემს, რომ მიღებული ფული მოხმარდება დასახელებული „გადამწყვეტი დაბრკოლების“ აღმოფხვრას, ესე იგი ქართული საშუალო სკოლის „მცდარი“ გზიდან „ჭეშმარიტ“ გზაზე გადაყვანას. როგორ? ალბათ, „ისტორიისა და მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების“ ტვინის ან სკოლების ასეთი მასწავლებლებისაგან გაწმენდით, რაც სხვათათვის მესიჯიც იქნება, ტრენინგიც და მენეჯმენტიც.

ესეც სერიოზული ბრალდე-

ბაა, ოღონდაც უკვე იმ „საერთაშორისო საზოგადოებისა“ და მისი პროექტისათვის „წინ, ტრადიციისაკენ.“

უკვე თვე გადის ბრალდებების გაჟღერებიდან, მაგრამ ჯერ ირგვლივ მხოლოდ დუმილი სუფევს – არც ისტორიკოსებისა და ფილოლოგების საპროტესტო ხმა ისმის, არც ბ-ნი ჭიაბერაშვილი უარყოფს – რას მაბრალებთო.

ამბობენ, სიჩუმე თანხმობის ნიშანიაო.

თანხმობის თუ, ვთქვათ, შიშის ან სრული გულგრილობის?

პროექტი „წინ, ტრადიციისაკენ“ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანების შედგენილია. მათ, მაგალითად, კარგად იციან, რომ წყაროების დასაშრობად ტყის გაჩეხვაა საჭირო და არა წყაროებში, ვთქვათ, მიწის ჩაყრა. და „ტყეც“ მოძებნეს. ეს არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

იმავე „პროექტში“ ვკითხულობთ:

„პროექტი „წინ, ტრადიციისაკენ!“ თავისი ძირითადი საქმიანობის კონცენტრირებას ახდენს იმ სოციალურ ჯგუფზე, რომლის გავლენა მომავალი თაობის სოციალიზაციაზე ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია: სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტები, რომელთა შორის ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას ერთგვარად შეიძლება ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფერო აბრკოლებდეს.“

საკმაოდ მკაფიოდ არის ნათქვამი: ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ისეთ სტუდენტებს ზრდის, რომლებიც „ოჯახსა და უმაღლეს სასწავლებელში დამკვიდრებული ატმოსფეროს“ ზეგავლენით ცუდად ექვემდებარებიან „ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრებას.“

აქ ისმის კითხვა: რა „ლიბერალური ღირებულებებია“ ისეთი, რომლებიც ვერ ეგუება ქართული ოჯახისა და ჯავახიშვილის მიერ ფუძნაყრილ ატმოსფეროს? მაშ, რას გვთავაზობენ ეს „ღირებულებები? ან რას ნიშნავს „მომავალი თაობის სოციალიზაცია?“ თუ ეს „სოციალიზაცია“ უარყოფს ტრადიციულ ატმოსფეროს, მაშ, რომელი ტრადიციისაკენ მიგვიძღვის პროექტი? ხომ არ არის ეს მცდელობა იმ ტენდენციის დამკვიდრებისა, რომელსაც უსიამოვნო სახელწოდება – დექართველიზაცია – შეიძლება ეწოდოს?

მაინც ისეთი რა „ლიბერალური ფასეულობების“ დამკვიდრებას აბრკოლებს ქართული ენისა და ლიტერატურისა და ქართული ისტორიის კარგი ცოდნა და გაფრთხილება? რჯულის შეცვლას? ენის შეცვლას? ოჯახური ურთიერთობების შეცვლას? ეროვნების დაკარგვას? „ცისფერობის“ დაკანონებას? სკო-

## ახალი წიგნები








ლაში ქალწულობის ინსტიტუტის დაგმობას? ნარკოტიკების ხმარების ლეგალიზაციას? მოხუცი მშობლების აუცილებლად დავრდომილთა თავშესაფარში გამწესებას? ძალადობისა და სისხლის კულტის დანერგვას? ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის განქიქება-გაბიაბურებას?

ალბათ, ამ „ლირებულებებზეა“ ლაპარაკი, თორემ კიდევ რის დამკვიდრებას უნდა აბრკოლებდეს „აი, ია,“ „სამშობლო ხევსურისა“ ან „მე პატარა ქართველი ვარ?“ თუ იმას წამოგვძახებთ, რომ საქართველო არ იცნობდა ანტიკურ კლასიკას, დანტეს, შექსპირს, გოეთეს, ბალზაკს, ჰემინგუეის, ბაირონს, დოსტოევსკის და სხვას და სხვას? თქვენი გამბედაობის ამბავი რომ ვიცი, ბატონებო, არც ამას მოერიდებოდით, მაგრამ არ იზამთ ამას, – გესმით, რომ ნამეტანი დიდი სისულელე იქნებოდა.

ბატონო გრანტიყლაპიებო, თქვენ ისედაც ბევრი რამ მოასწარით. ამას ადასტურებს დღევანდელი საქართველოს ეკონომიკური და სულიერი მდგომარეობა. თუ თქვენი შვილები თქვენს საქციელს გააგრძელებენ, ცოტა დასანგრევი მათაც დაუტოვეთ.

კაცი რომ გამწარებისაგან ხუმრობს, გესლი გამოდის, რაც ცუდია. ამიტომ დავუბრუნდეთ საქმეს, რომელსაც სახუმარო პირი არ უჩანს.







მაინც რა დააშავეს უნივერსიტეტის ფილოლოგებმა, ისტორიკოსებმა და მათმა სტუდენტებმა? ამ ცოტა ხნის წინ ტელევიზიით აჩვენეს, როგორ ასუფთავებდნენ ბებერი ხანძრის დანგრეულ კედლებს ჩვენი სტუდენტები. მსხვილი პლანით გვაჩვენეს სტუდენტი გოგონას დახეთქილი, ნაპატივები თითები, რომლებიც კედლებზე ამოსულ სარეველას ჩაფრენოდნენ და თითქმის გაბოროტებით გლეჯდა. ნუთუ ეს ვაღაგასული ტრადიციაა?

კაცი ტრაგიკულად დაიღუპა. მისი კარგა ხნის წინათ გაცილებული ცოლი ორი შვილით მარტოდ-მარტო დარჩენილ ავადმყოფ

> სამწუხაროდ, დამპყრობელმა უკეთესად იცის ჩვენი ქვეყანა, ვიდრე ჩვენ, ქართველებმა. იმან ისიც ზუსტად იცის, თუ სად დევს ჩვენი მთავარი სული.
>
> **ოთარ ჭილაძე**

დედამთილთან ბრუნდება: უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს მიხედვა და შვილიშვილების ალერსი სჭირდებათ. იქნებ ეს არის ვაღაგასული ტრადიცია?

35 ათასად ღირებულ პროექტში ყველა ქართული ტრადიცია ვაღაგასულად არის გამოცხადებული, გარდა ერთისა, რომლისაკენაც პროექტის ავტორი მოგვიწოდებს, – წინო.

ოღონდაც არც დაწუნებული ტრადიციებია დასახელებული, არც ის ერთი, მისი მოწონებული. აი, დამნაშავეები ბლომად არიან – ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ფილოლოგები, ისტორიკოსები და მათი მასწავლებლები, ამათ მივუმატოთ ქართული სკოლა მთლიანად, თავისი მასწავლებლებითა და მოსწავლეებით. სადღაცას, ალბათ, მილიონს მიუკაკუნებს. და ყველა ამათ ერთი ბრალდება წაუყენეს – სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დაბრკოლება. როგორია, ა? რით არის ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანის ბრალდებაზე ნაკლები?

ამ პროექტს ერთი

კაცის – ბ-ნ ჭიაბერაშვილის – ხელმოწერა ახლავს. მაგრამ არა მგონია, რომ მეტს არავის სცოდნოდა, რისთვის უნდა მიეღოთ, 35 ათასი დოლარი. საინტერესოა, ნუთუ ერთს მაინც, ერთხელ მაინც არ უჩურჩულა „პატარა ღმერთმა" ანუ სინდისმა, შეჩერდით, რასა შვრებითო? თუ დიდი ღმერთისაგან გადასულები როდის იყო, რომ პატარა ღმერთს უსმენდნენ?

ეს ფაქტი, ბატონებო, უფრო მძიმეა, ვიდრე კორუფციის სიმბოლოდ გამოცხადებული უზარმაზარი შენობები ერთად აღებული.

ბისმარკმა რომ დაქუცმაცებული გერმანია გააერთიანა, მადლობა გენერლებს კი არა, სკოლის მასწავლებლებს გამოუცხადა, – პატრიოტი ჯარისკაცების აღზრდისათვის.

დღეს ჩვენთან კი დედაენისა და დედაისტორიის სიყვარული „ლიბერალურ ღირებულებათა დამკვიდრების დაბრკოლებად" ცხადდება და ამისათვის სოლიდურ წახალისებასაც იღებენ. აი, ასე შემოგვიტრიალდა დამოუკიდებლობა და დემოკრატია.

ახია ჩვენზე! გულწრფელად გვიხარია, და კანონიერადაც, როდესაც ვხედავთ, როგორ ისრუტავენ თვალებგაბრწყინებული ბავშვები მასწავლებლის თხრობას სამშობლოს შესახებ და არ გვაინტერესებს, რა ბნელი პროექტები მზადდება და ხორციელდება იმ პატარების ზურგს უკან ფულს უზომოდ დახარბებული ადამიანების მიერ.

აქ შეიძლება პათეტიკურად წამოგვეძახა – სირცხვილიაო! – მაგრამ ფულმა ხომ სირცხვილ-ნამუსი არ იცის, ისე, როგორც სუნი. არც სამშობლო, არც სიყვარული. არაფერი, რაც არ იყიდება.

**P. S.** ერთ რამეში კი ნამდვილად იმსახურებს ბ-ნი ჭიაბერაშვილი ჩვენს მადლობას. მისი ხელწერილი ისეთი მწუხარებით არის დაწერილი, ისე სერიოზულად აცხადებს, რომ მიღებული 35 ათასი მთლიანად დაიხარჯება „დაბრკოლებათა" დასაძლევად, რომ აშკარაა: ქართული სკოლა და, კერძოდ, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. ჯერ კიდევ პირნათლად ასრულებენ თავის უმთავრეს, ღვთიურ მოვალეობას – მამულიშვილის აღზრდას. ეს კი მართლა სერიოზული დაბრკოლებაა, რომლის დაძლევაც ღმერთმა ნურავის აღირსოს.

და მაინც.

ყველა ჭიაბერაშვილი, ყველა ლომაია და ქართული სულისკვეთების ყველა სხვა რევიზორი ხომ ქართველები არიან და სხვაზე ნაკლებად როდი უყვართ სამშობლო.

მაშ, რა ხდება? ნუთუ მხოლოდ გამდიდრების, პირადი კეთილდღეობის სურვილი ამოძრავებთ? ცხადია, ისინი ხედავენ, რა წამებასა და დამცირებას განიცდიან მათი გაღატაკებული მეზობლები, ნაცნობები თუ უცნობები, რომელთა დანახვაც კი შიშის ზარსა სცემს, და ყველაფერს აკეთებენ, კადრულობენ, რომ თვითონაც არ მოხვდნენ „კეთროვანთა" წრეში.

> ნუთუ მამანო, ძმანო, დედანო, დანო და ქვეყნის გულშემატკივარნო, ასე და ასე უნდა იყოს... თუ, თქმაც კი ცოდვად მიგვაჩნია, ისე გულგრილები ვართ, ისე ემადლობნი, რომ გული ხელს იკავებს და დაუდევრობს მადლის სურვილსა!.
>
> ილია

მაგრამ მხოლოდ ეს არის მიზეზი? სხვა არაფერი უბიძგებს მათ, რომ დედა დაივიწყონ და დედინაცვლის კალთას ჰკოცნიან?

არ უნდა იყოს ასე. ჩვენშიც ხდება რაღაც ისეთი, რაც აღარ შეეფერება თანამედროვე ცივილიზაციის დონეს და ზოგიერთ მოჩქარეებს ათქმევინებს, რომ „ვეფხისტყაოსანი" სისულელეა, ჭავჭავაძე მწერალი არ არის, ფიროსმანი მხატვარი კი არა „მალიარი" იყო და... და... და.

გასარკვევია, რა არის „ლიბერალური ფასეულობანი – მაგრამ ისიც გასარკვევია, ვისა აქვს უფლება, ხალხს ჭკუა და ნამუსი ასწავლოს, ან მისი სახელით ილაპარაკოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კანონი, კანონმდებელი და ჩვენ

ხალხია ენის კანონის დამდებიო, ბრძანა ილია ჭავჭავაძემ.

რამდენადაც ეროვნული სკოლა ენის ტოლფასი ფენომენია იაკობისათვის და ილიასთვის, შეიძლება ესეც ვთქვათ: ხალხია ეროვნული სკოლის კანონის დამდები.

ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი შემთხვევით არ გაგვხსენებია. განათლების მინისტრმა ბატონმა ალექსანდრე ლომაიამ სამინისტრო მოღვაწეობის დაწყებისას ბრძანა, რომ ჩვენ ვივლით ილიას და აკაკის გზითო...

განათლების რეფორმის პროექტს ილია ჭავჭავაძე დაარქვეს და პარლამენტში განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომა, რომელზეც უმაღლესი განათლების კანონპროექტი განიხილებოდა, ილია ჭავჭავაძის დარბაზში გაიმართა...

ვნებათაღელვა, კანონპროექტის განხილვასთან დაკავშირებული, დაემთხვა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებს, რაც საკმაოდ სერიოზულად აღნიშნა განათლების სამინისტრომ...

თუ ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის, თუ ილიასა და იაკობის სახელს სახელისთვის არ ვიყენებთ, მაშინ კანონმდებლებმა ხალხს, ე. ი. ჩვენ, უნდა გვისმინოს და ისე შექმნას კანონი.

ჰხვაგვარად ის კანონი ჩვენი (ხალხის) კანონი არ იქნება და დღეს თუ ძალით მოგვახვევენ თავს, ხვალ მაინც შევცვლით... სავალალო ის იქნება, რომ სანამ შევცვლით, შეიძლება ბევრი რამ გაფუჭდეს...

უნდა ისმინოს ხალხის ხმა კანონმდებელმა!




საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

